


140  
1964

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՇՈՒՆՈՒԹՅԱՆ



**ՅԱՄԵՋԱՆ - 2**





ფორტოვები შ. გაბუნია.



დღეს მე ვიგონებ პირველ მაისის  
პირველ მომღერალს ლალო იაშვილს,  
ჩვენს დიდ ზეიმში მისი ხმა ისმის,  
როგორც ქუხილი ქარის ვრიალში.  
ა.ლ. აბაშვილი



# ლალო იაშვილი

(„ზაზვიზა“)

დოვლია არგვეთში, ღრმა თოვლი. დათოვლი-  
ლია სერები და ფერდობები. ძლივს ამოვიარე  
გზა საჩხერიდან. სოფელ სავანემდე მანქანა-  
საც კი უჭირდა სიარული. ახლა ძველი რევო-  
ლუციონერის — ლალო იაშვილის სახლში ვარ, პატარა  
ქვიტკირის ოთახში ვზივარ... მასპინძლებმა — ლალოს  
ქმისწულმა ალექსანდრემ და მისმა მეუღლემ ელენემ ბუ-  
ხარს შემა შეუქეთეს; ოთახში დათბა, ცეცხლის ალმა  
უფრო გაანათა ოთახი და კედელზე დაკიდებული დიდი  
სურათი წამოიმართა სიბნელიდან. სათნო სახის, გამზდა-  
რი, წვერმოშვებული ახალგაზრდა ძლივს წამომჯდარა  
ლოგინში, კედელს მიყრდნობია. ფერმკრთალ, ავადმყო-  
ფურ სახეზე თითქოს მხოლოდ თვალები აქვს ცოცხალი,  
მხოლოდ თვალებში უნთია ცეცხლი და სიცოცხლის  
წყურვილი.

— ეს სურათი ლალოს ამხანაგებმა გადაუღეს სიკვდი-  
ლის წინ. ციმბირში, მივარდნილ უსტუღაში გარდაიცვა-  
ლა ლალო. სიკვდილის წინ თავის სამშობლოს ნატრობ-  
და თურმე, — მეუბნება ალექსანდრე. — აუტანელ პი-  
რობებში იყვნენ ციმბირში გადასახლებულები. სამხრე-  
თელები ვერ იტანდნენ ჩრდილოეთის ყინვას, ჭლეჩით  
ავადმყოფდებოდნენ... ჩვენ გვაქვს ლალოს უკანასკნელი  
წერილი...

ცოტა ხნის ძებნის შემდეგ ალექსანდრემ კარადიდან  
გამოიღო ქაღალდების მთელი დასტა. ძლივს ვშლი გაყ-  
ვითლებულ, ოთხდაგაკეცილ, გაცრეცილ წერილს და  
ჩემთვის ვკითხულობ:

„21 ივნისს ჩემი დაბადების დღეა. იმის იმედი არა  
მაქვს, რომ ამ დღემდე მივალწვევ. თქვენ გაინტერესებთ  
ჩემი მდგომარეობა: ფეხები სრულიად წამერთვა და ჩემი  
მოვლა-პატრონობა მძიმე ტვირთად დააწვა ჩემს ძვირ-  
ფას ამხანაგებს. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვიშ-  
ყოფებით. გუშინწინ ჩემთან ექიმი იყო, სიკვდილის გა-  
ნაჩენს მოველოდი მისგან, მაგრამ მან მითხრა, რომ ჯერ  
კიდევ ვიცოცხლებ და ტუბერკულინით მკურნალობა და-

მინიშნა. ეს არის ჩემი უკანასკნელი იმედი, მაგრამ ეს წა-  
მალი ძალზე ძვირია, 15 მანეთი ღირს. ტუბერკულინის  
ნემსი თვითონ ექიმა უნდა გამიკეთოს, ამას კი ფული  
უნდა“.

ვკითხულობ წერილებს, ვათვალიერებ მის პირად ნივ-  
თებს და სიამაყით ვივსები, რომ არსებობენ ასეთი ადამი-  
ანები, ადამიანები, რომელნიც მთელ თავიანთ სიცოცხ-  
ლეს სწირავენ კეთილშობილურ საქმეს, დიდი რწმენით  
შთაგონებულნი, მთელი ცხოვრება ილწვიან ამ საქმისათ-  
ვის და მერე დაუნანებლად მიდიან ამ ქვეყნიდან, თან მი-  
აქვთ დიდი საქმისათვის ანთებული გული.

დიდ, ძალიან დიდ მსხვერპლს მოითხოვდა საერთო-  
სახალხო საქმე. ბევრის სიცოცხლე დაედო მტლად ჩვე-  
ნი სამშობლოს განთავისუფლებას.

ლალო იაშვილი... აი, ამ სახლში დაიბადა იგი 1872  
წელს. მაშინ ეს სოფელი შორაპნის მაზრაში შედიოდა.  
ლალომ არგვეთში გაატარა ბავშვობა, სასწავლებლად კი  
ქუთაისში წავიდა, შემდეგ გორის საოსტატო სემინარია-  
ში გადავიდა. სწავლის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ ხე-  
ლმოკლეობის გამო იძულებული იყო მუშაობა დაეწყო  
და თავისი თავი თვითონ ერჩინა. 1890 წელს გადაწყვიტა  
თბილისში გადასულიყო. აქ იგი ამიერკავკასიის რკინი-  
გზის სახელოსნოებში დაუახლოვდა მუშათა არალეგალურ  
სოციალ-დემოკრატიულ წრეებს, რომლებსაც ხელ-  
მძღვანელობდნენ რევოლუციონერი მარქსისტები: ალექ-  
სანდრე შულუკიძე, ლალო კეცხოველი, მიხა ცხაკაია, ფი-  
ლოზე მახარაძე და სხვები.

ვკითხულობ ძველი მუშა-მემანქანის ვასო სუხიშვილის  
მოგონებას: „როცა მემანქანის თანაშემწედ ვმუშაობდი,  
ზვირად ჩამქონდა არალეგალური ლიტერატურა და  
პროკლამაციები გორსა და ხაშურში. ეს პროკლამაციე-  
ბი ლალო იაშვილის ოთახში ინახებოდა. ლალო მაშინ დე-  
პოს კანტორაში მსახურობდა. იაშვილის ოთახიდან გვი-  
ნაწილებდნენ ხოლმე დასარიგებლად პროკლამაციებს.  
ლალო იაშვილის ებარა აგრეთვე ბეჟედი, ფული და ჩვენი  
დეპოს წრეების ანგარიშები“.

— თბილისში ყოფნის დროს ლალო დაუახლოვდა ქარ-  
თველ მწერლებს, — მიაშობს ალექსანდრე  
იაშვილი, — ლალო, პოეტური ბუნების  
ადამიანი იყო, ბავშვობიდანვე სწერდა  
ლექსებს, დიდად უყვარდა ხალხური შე-  
მოქმედება — თქმულებები, ზღაპრები,  
ლეგენდები, ლექსები და პოემები. ხშირად  
დადიოდა სოფლებში და ფოლკლორულ  
მასალებს აგროვებდა, შემდეგ ამ მასა-

9387

ქობულთბილისის მუშაკთა  
კავშირთა კავშირი. ჯოსტა კანს  
კანსიკაინი ტანაილქანი კანს  
და იკ სოაილქოს სოაილქოს  
ქანსიკაინი კანსიკაინი.

ბაგოტეშის XXXVIII წელი.

## ქობულთბილისი

საბავშვო სკოლა

საბავშვო სკოლა

საბავშვო სკოლა

საბავშვო სკოლა

მ 2  
გაგრძელება







ლებს იმდროინდელ პრესაში აქვეყნებდა. თანამშრომლობდა გაზეთ „კვალში“, ყურნალებში „ჯეჩილში“ და „მწყემსში“. იგი წერდა ფსევდონიმით — „შაბიჭა“.

ცხრაასიან წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები და რკინიგზის დეპო — ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის რევოლუციური კერას წარმოადგენდა. ლადო მუშათა გაფიცვების აქტიური მონაწილე იყო. 1899-1900 წლებში მოწყობილ მაისობებში იგი მოწინავეთა რიგებში იდგა. მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით იბრძოდა რევოლუციის საქმისათვის.

1901 წლის სექტემბერში ბაქოში გამოვიდა „ისკრული“ მიმართულების გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის მუშათა კლასს—რევოლუციის წამყვან ძალას. გაზეთი „ბრძოლა“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და თავის ფურცლებზე ფართოდ აშუქებდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა რევოლუციურ გამოსვლებს და თბილისის მუშათა დემონსტრაციებს.

1901 წლის საპირველმისო დემონსტრაციის მოსამზადებლად თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრეების ხელმძღვანელმა ჯგუფმა დიდი რევოლუციური მუშაობა გააჩაღა. მეფის ადგილობრივი ხელისუფლება მოელოდა, რომ დემონსტრაცია გაიმართებოდა 18 აპრილს (1 მაისს, ახალი სტილით). მან ადრევე მიიღო ზომები ამ დემონსტრაციის ჩასაშლელად. დაიწყო ჩხრეკა, დაპატიმრებანი და ჯარების მზადება. მაგრამ მთავრობა მოტყუვდა. სა-

პირველმისო დემონსტრაციის დღედ თბილისის ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის მიერ დანიშნული იყო 22 აპრილი — კვირა. 22 აპრილს „საქმის ბაზარში“ შეიკრიბნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და თბილისის სხვა საწარმოთა მუშები — 2 ათას კაცამდე. ხალხით სავსე დიდ ბაზარში მუშებმა აღმართეს წითელი დროშა, გაისმა შეძახილი: „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას“. დროშასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა, მრავალი კაცი დაიჭრა.

სწორედ ამ საპირველმისო დემონსტრაციას მიუძღვნა ლადო იაშვილმა თავისი ლექსი „22 აპრილი“. ეს ლექსი გაზეთ „ბრძოლის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა „შაბიჭას“ ფსევდონიმით.

აი, ეს ლექსი:

ოცდარ აპრილს, ოცდარ აპრილს  
არ დაივიწყებს შთამომავლობა,  
ყველას აუძგერს სიამით გულსა,  
მუშა ხალხისა გმირთა-გმირობა, —  
მათ, ვინც შესწირა, ზვარაკად დადგა  
თავი მოძმეთა საჭირნახულოდ,  
არ შეუშინდა მტარავალთა მახვილს,  
დროშა აღმართა სასისხარულოდ.  
დროშა ერთობის, თავისუფლების,  
ერთგნებისა განურჩეველი,  
დროშა აღმართა ჭეშმარიტების,  
აწ და მარადის სიმართლის მთქმელი.

ეს ლექსი ქართული პროლეტარულ-რევოლუციური პოეზიის ერთ-ერთ პირველ ნიმუშად ითვლება. იგი ელვის სისწრაფით მოედო მუშებსა და რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდებს. ამ ლექსს მღეროდნენ ყველგან...

მართალია, 1901 წელს მეფის ჯარებმა, პოლიციამ და ჟანდარმერამ თბილისის მუშათა საპირველმისო დემონსტრაცია სისხლში ჩაახშეს, მაგრამ ამ დემონსტრაციას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აი, რას წერდა გაზეთი „ისკრა“ თბილისის საპირველმისო დემონსტრაციის შესახებ: „ის ამბავი, რომელიც კვირას, 22 აპრილს (ძველი სტილით) მოხდა თბილისში, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის. ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა. უკვე 3-4 წელია, რაც თბილისის შეგნებულმა მუშებმა საერთო დროშის ქვეშ დაიწყეს შეერთებული ძალებით ბრძოლა გაბატონებული კლასებისა და არსებული სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ. თბილისის მუშათა 1901 წლის საპირველმისო დემონსტრაციამ დასაბამი მისცა მასობრივ საპირველმისო დემონსტრაციებს მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში“.

1902 წელს პირველი მაისის დღესასწაული აღინიშნა გურიაში, 1903 წელს — ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში და სხვაგან. ამ მაისობებმა დასაბამი მისცა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აშკარა პოლიტიკურ ბრძოლას საქართველოში.

შემდეგ დაიწყო რეპრესიები, აპატიმრებდნენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აქტიურ წევრებს. 1902 წელს დააპატიმრეს ლადო იაშვილიც. იგი მეტეხის ციხეში მოათავსეს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი არხანგელსკის გუბერნიაში გადაასახლეს. მძიმე ავადმყოფობის გამო,





ლადო გადასახლებიდან უკან დააბრუნეს. იგი არგვეთში ჩავიდა. გამოჯანმრთელებისთანავე განაახლა რევოლუციური მუშაობა.

დაიწყო 1905 წლის რევოლუცია. მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო რევოლუციის ალი, იმართებოდა გლეხთა გამოსვლები, ეწყობოდა აჯანყებები, მწვავედებოდა ბრძოლა მჩაგვრელებსა და ჩაგრულებს შორის. ლადო იაშვილი ჭიათურასა და საჩხერეში აწყობდა მუშათა და გლეხთა მიტინგებს, მუშების დახმარებით ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, ორგანიზაციის სასარგებლოდ აგროვებდა ფულს.

მაშინ დასავლეთ საქართველოში აჯანყებების ჩასაქრობად მეფის ჯალათებმა დამსჯელი რაზმები გაგზავნეს ალხანოვ-ავარსკის მეთაურობით.

1905 წლის დეკემბრის ბოლოს თბილისიდან რამდენიმე დამსჯელი რაზმი გამოვიდა — ქვეითები, პლასტუნები და არტილერისტები. ისინი კალიბრებით მოედნენ დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს. სწვავდნენ და ანადგურებდნენ სახლებს, აწიოკებდნენ მოსახლეობას, — ხვრეტდნენ, აპატიმრებდნენ და შორეულ ციხეებში ასახლებდნენ. პლასტუნები საჩხერეშიც მოვიდნენ. მოსახლეობის წარმომადგენლებმა რაზმის უფროსს უთხრეს — ბრძანეთ, რა მოთხოვნებს უყენებთ ჩვენს მოსახლეობას, ჩვენ მზადა ვართ შევასრულოთ ყოველივე, ოღონდ ძალას ნუ იხმართო. რაზმის უფროსმა მხოლოდ სამი საათის ვადა დაულო: ამ სამი საათის განმავლობაში მოსახლეობას იარაღი უნდა ჩაებარებინა მათთვის, გაცა პროპაგანდისტები და გადაეხადა თანხა, რომელიც ყვირილის ხაზინიდან იყო გატაცებული. სამი საათის განმავლობაში, მოსახლეობის სურვილიც რომ ყოფილიყო, მაინც ვერ მოასწრებდნენ ამ მოთხოვნების შესრულებას. მოსახლეობა კი უარზე იდგა. პლასტუნებმა ცეცხლს მისცეს სახლები და მადაროები, ფერფლით აავსეს იქაურობა.


— კაზაკთა რაზმი მერე არგვეთში ამოვიდა, — მეუბნება ალექსანდრე, — შუალამისას ალყა შემოარტყეს ჩვენს სახლს, მამაჩემი როსტომი გააღვიძეს და უთხრეს — სად არის შენი რევოლუციონერი ძმა ლადო. მამამ უპასუხა, არ ვიციო. მაშინ კაზაკები სახლში შეცვივდნენ და ჩხრეკა დაიწყეს. რაც ხელში მოხვდათ — თან წაიღეს. წასვლისას უფროსმა მამაჩემს უთხრა: სამ დღეში მონახე შენი ძმა, თორემ დავბრუნდებით და ნაცარ-ტუტად ვაქცევთ თქვენს კარმიდამოსო. მართლაც, ოთხი დღის შემდეგ კაზაკები დაბრუნდნენ და ცეცხლს მისცეს სახლი; დაიწვა სასიმიინდე, ბეღელი, თავლა, სამზარეულო; ჩვენი მეზობლები გრიგოლ და მიხეილ მაჭავარიანები ემუდარებოდნენ თურმე კაზაკების უფროსს: საბძელს მაინც ნუ გადაუწვავთ როსტომს — წვრილშვილიანია და დროებით თავს მაინც შეაფარებსო, მაგრამ უფროსმა ყურიც არ ათხოვა მათ ხვეწნა-მუდარას. მთელი კარმიდამო ცეცხლში გაეხვია.

ეს ამბავი ახლაც კარგად ახსოვთ მსცოვან არგვეთელებს. ამასობაში ლადომ თავი დააღწია მეფის ჯალათების და არგვეთიდან კისლოვოდსკში გაიქცა. ლადომ იქაც განაგრძო არალეგალური რევოლუციური მუშაობა, მოაწყო მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა. პოლიციამ იგი კვლავ დააპატიმრა. ლადო მატარებლიდან გადმოხტა და საქართველოში დაბრუნდა. 1906 წელს იგი ისევ დააპატიმრეს და სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, — გადასახლეს ირკუტსკის გუბერნიისში, სოფელ უსტუდაში.

„ექვსი თვეა, რაც აქა ვარ, — სწერდა იგი თავის ძმას როსტომს, — ჩემი დღევანდელი მდგომარეობა ვერ არის სახარბიელო. ყინვა 35 და 40 გრადუსს შორის აღის და ჩამოდის, ესლა უნდა ჩემს ფილტვებს!“

ლადომ ვერ აიტანა ჩრდილოეთის ყინვები და 1912 წელს გარდაიცვალა ჭლეჩით. ბოლო წუთამდე იგი თავისი საქმის ერთგული დარჩა, — მშრომელთა განთავისუფლებას შესწირა სიცოცხლე.

ლ. პერიკლი











წითელ წერტილზე ეწერა „თბილისი“, მეორეზე — „რუსთავი“...

არ ყოფილა თქვენი რუსთავე-ქალაქი შორსო, თქვა სტუმარმა. მერე „ქუთაისი“ რომ ეწერა, იმ წითელ წერტილს დაადო ლურჯი ფანქარი და „თბილისამდე“ გამოატარა. ბავშვები მიხვდნენ, რომ სტუმარი ქუთაისიდან მოდიოდა. რამაშმა იქით გააპარა მზერა, სადაც ბევრი წითელი წერტილი იყო. ერთი დიდი წერტილიდან იწყებოდა ლურჯი ხაზი. იმ დიდ წერტილთან „მინსკი“ ეწერა. რამაშმა იდაყვი გაჰკრა დუდანას და იმ წერტილზე ანიშნა...

სტუმარმა რუკა დაკეცა, მერე თვალი ჩაუკრა რამაშს და ჰკითხა:

— რომელ საათზე ბრუნდება ლევანი?

რვა საათზე შინ იქნებაო, უპასუხა რამაშმა.

— ოქრო კაცია თქვენი ახალი მეზობელი, — ჩაილაპარაკა სტუმარმა და განაგრძო:

მე ქუთაისშიც ვიყავი. იქ მეგულეობდა ჩემი კაპიტანი, მაგრამ მეზობლებმა მითხრეს, თბილისში გადავიდაო. რაღაც მნიშვნელოვან გამოგონებაზე მუშაობსო. ერთი სული მაქვს, სანამ გავიგებდე, — რა გამოგონებაზე მუშაობს. დიდი მოუსვენარი კაცია. რა მენტატება არ გადახდენია თავს და მაინც არ შემდრკალა. თქვენო დენა ვიქნებოდი, ამხანაგი ივანიძე რომ გავიცანი ბელორუსიის ფრონტზე, 1942 წელს... და, და, და, და! მძიმე დღე გვადგა... მართლა, თავი

კი არ გაგაცანით. ბელორუსი გახლავართ, გენადი მქვია. აი, ამ მანქანით მოვდივარ მინსკიდან. ჩემს მოგზაურობას მფრინავი-კოსმონავტების მამაცობას ვუძღვნი...

სტუმარი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და განაგრძო:

— რას გეუბნებოდი?... ჰო, მომაგონდა... მძიმე დღეები იყო ბელორუსიაში...

ბავშვები სმენად იყვნენ გადაქცეულნი, ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი.

— სწორედ ორმოცდაორში მოვხვდი მე კაპიტან ივანიძის პარტიზანულ ათასეულში. შვილივით ვუყვარდი კაპიტანს... ბავშვი ვიყავი, სულ ბავშვი. გვერდიდან არ მიშორებდა. ბრესტი გაგიგონიათ? ომი რომ დაიწყო, ბრესტში მდგარა კაპიტან ივანიძის ნაწილი. საქართველოდან ცოლ-შვილი ახალი ჩამოსული ჰყოლია. არდადეგები იყო და, რა თქმა უნდა, ბავშვებიც წამოეყვანა მის მეუღლეს. საწყალმა ქალმა რა იცოდა, რომ იქ დარჩებოდა სამუდამოდ... დაიღუპა თურმე; ბიჭები კი, როგორც იქნა, სხვა ევაკუირებულლებთან ერთად, მშვიდობით ჩამოვიდნენ საქართველოში. მათ ბებია ჯრდიდა. ახლა ისინი დიდები არიან. ერთი მფრინავია, მეორე — გემი „საქართველო“ ყვე-





ლას გექნებათ გაგონილი — იმაზე მუშაობს. კაი ვაუკაცები დაზარდა ამ საწყალმა (გენადიმ ხელი გაიშვირა ივანიძის ოთახისკენ); სხვა ქალი არ შეურთავს და არის ასე მარტოხელად. თავისი შვილების სიყვარული ჩემზე გადმოჰქონდა. როცა დიდი საფრთხე იყო მოსალოდნელი, ინვალიდებისაგან შემდგარ სამეურნეო ნაწილს ჩააბარებდა ჩემ თავს და ეტყოდა: აბა, თქვენ იცით, კარგად მიმიხედეთ შვილობილს, მზრუნველობა არ მოაკლოთო. ბიჭო, კაპიტანმა ბრძანაო? ვინ იყო უბატონოდ ხმის გამცემი. მერე რა გულკეთილი კაცი იყო, ხუთს გაუნაწილებდა ერთ ორცხობილას, ერთი გახვევა წეკო რა არის, იმასაც კი გაყოფდა, მასთან ერთად ერთ ქვაბუნაში ორი-სამი კაცი ჭამდა. აი, ასეთი იყო ჩვენი კაპიტანი, ამიტომაც ყველას უყვარდა. ხედავთ, რა საამაყო მეზობელი გყავთ?..

ბავშვები გაცოდნენ, გულეები აუჩუყდათ, გენადი კი განაგრძობდა:

— ახლა ხანდაზმული იქნება ჩემი მამობილი. აბა, ერთი მისი ჭეღოლობის სურათიც გაჩვენოთ..

ყმაწვილებს თვალი ჩაუკრა და ზურგჩანთა მოაფათურა. იქიდან წიგნი ამოიღო, წიგნიდან — ძველი, დროუამისაგან ფურცლებშეყვითლებული, გაცრეცილი გაზეთი ამოაფრიალა. გაზეთში მომღიმარე, ბრგე ვაუკაცი ეხატა, სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი, სულ იარაღში ჩამჯდარი, ჭიუტი ქოჩორი შუბლის მარჯვენა მხარეს ჩამოშლოდა. გულმკერდს კი უამრავი მედლები და ორდენები უმშვენებდა.

— ეს წერილი სულ თქვენი მეზობლის ვაუკაცობას ეხება!..

რა არ გაიგეს გოგო-ბიჭებმა იმ წერილიდან; სად ხიდი აუფეთქებიათ კაპიტან ივანიძის პარტიზანებს, სად ფაშისტთა გარნიზონი გაუნადგურებიათ. გაიგეს ისიც, რომ ივანიძის პარტიზანული ფსევდონიმი „მწვანე ეშმაკი“ ყოფილა. „მწვანე ეშმაკი“ დიდ თანხად შეუფასებიათ გერმანელებს, მაგრამ ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალი ვერ ჩაუგდიათ ხელში.

თერთმეტი მსუბუქი და მძიმე კრილობა ჰქონია მიღებული.

ბოლოს სტუმარმა თქვა:

— ერთი ეს ზურგჩანთა საიმედოდ შემინახეთ, ცოტას თქვენს ქალაქსაც დავათვალიერებ და ერთ საათში მოვალ.

შთაბეჭდილებებით თავებდამძიმებული ყმაწვილები ერთ ხანს ხმა-ამოუღებლად იდგნენ, მერე ლაშამ დაარღვია სიჩუმე:

— სირცხვილი არ იქნება, ასე რომ დავახვედროთ მოტოციკლი?

— კი, სირცხვილი იქნება! — კვერი დაუკრა მამუკამ, რომელსაც თავის ქიციინით დაეთანხმა ყველა.

ბიჭებმა სულ ლაპლაპი დააწყებინეს მოტოციკლს. გოგონებიც არ იყვნენ გულხელდაკრფილნი. მეეზოვე ასინეთას მიერ სანაგვე ყუთის უკან გულმოდგინედ გადანახული გრძელტარა ცოცხი, აქანდაზი და სარწყავი მოძებნეს. ჭერ კარგად მორწყეს ეზო, მერე დატრიალდნენ და სულ დააქასქასეს იქაურობა.

ახალდამთავრებული ჰქონდათ მოტოციკლის წმენდაც და ეზოს მიხელოკეთილებაც, როცა ხაჩიკა ფოსტალიონი შემოჩაქუნდა ეზოში, თავის ამოჩემებულ ადგილს მიუახლოვდა და შესძახა:

— ივანიძე, დებეშა!

მისცივიდნენ ბავშვები. კარგი დებეშა თუა, მე მომეციო, — შევედრა დუღანა.

ცუდი რატომ იქნება, დაბადების დღეს ულოცავენო, მიახალა ხაჩიკამ. აქ კი შეიქნა ნამდვილი ძიძგილობა, არა მე მომეცი და არა მეო.

ხაჩიკამ ხელი ასწია:

— მოიცათ, იმდენია, ყველას გერგებათ!

ერგოთ რომელია, რამაზს ორიც შეხვდა.

რამაზმა დებეშები ფრთხილად ჩაიღო ჭიბეში, კიბეები აირბინა, ზურგჩანთა შინ დატოვა, მაგრამ ხელცარიელი არ დაბრუნებულა: გაბმულა ხერხი და ნაჯახი ჩამოიტანა, ორი სამფეხა გააკეთა და ხერხვას შეუღდა.

არც ზვიადი ჩამორჩა ამხანაგს, ლაშამ და მამუკა დახერხილ შეშას აპობდნენ, ნონა და დუღანა ლამაზად აწყობდნენ. სამსახურიდან დაბრუნებულმა მობინადრებმა ბავშვების საქმიანობა რომ დაინახეს, გაუკვირდათ. ბავშვებმა მშობლებს ყველაფერი უამბეს. უფროსები მხრებს იჩიჩდნენ, გაკვირვებულები ერთმანეთს შეტყუებდნენ. მათე ბიძია წუთით გაირინდა, მერე გულჯიბიდან წითელყდიანი წიგნაკი ამოიღო; ფურცლა... ფურცლა... ბოლოს, იისფერი მელნით ლამაზად მიაწიკწიკა: „ლევან ივანიძე დაბადებულია 1 დეკემბერს“. მერე უშველებელი ხელი ზეასწია და დაიბუბუნა:

— იცით თუ არა თქვენ, რომ დეკემბერში არც ერთის დაბადების დღე არა გვქონია?! აბა, მოიჩხრიკეთ ჭიბეები!.. მართალია, ხელფასის წინა დღეა და ცოტა ქებატობა გვაქვს, მაგრამ დაბადების დღეს ვერ გადავდებთ! მარტოხელა კაცია ჩვენი ლევანი, სტუმარიც ეწვია... ოჰო, ნათიაც მოსულა. იცოდეთ, დღეს ისეთი ხინკალი უნდა გვაჭამო, რომ... სტუმარს, მთელ თავის სიცოცხლეში, ყოველ მოგონებაზე ნერწყვსა ჰგვრიდეს... აფსუს, რა მეზობელი გყვოლია და, კი არ ვიცოდით! სირცხვილი ჩვენი!..

ბიჭებმა წამოწყებული საქმე განაგრძეს, გოგონებმა ნათიასთან გადაინაცვლეს. ატყდა ქვაბების ხეხვა, ქვაბებს ბანი მისცა როდინმა, როდინს თეფშები გამოეხმაურა, ხერხი და ნაჯახი ხომ მანამდეც ხმაურობდა... დიდი თუ პატარა, ყველა ცდილობდა უწყინარი, ჩუმი მეზობლის სტუმრისათვის მარადსახსოვარი ყოფილიყო თბილის-ქალაქში გატარებული დრო. ადგენდნენ გეგმებს: სად წაეყვანათ, რა ეჩვენებინათ... იწონებდნენ... იწუნებდნენ... ცვლიდნენ... აკლებდნენ... ამატებდნენ... ეთანხმებოდნენ... დავობდნენ... საქმესაც არ სცდებოდნენ.

ყველა მონდომებული იყო, ღირსეულად აღენიშნა ახალი მეზობლის დაბადების დღე.



სიბერისაგან ოდნავ შეშფოთებული, გარინდებული, ოცნებით გაბრუებული დააბიჯებდა კეთილი მოხუცი. მართალია, სუნთქვაში ხრინწი გაერია, მაგრამ ხმის სიტკბო, სილბილე მაინც შემორჩა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ თმობდა აღფრთოვანების უნარს. მიმოდოდა ფრთხილად და მორიდებით, შეჰხაროდა სიცოცხლით სავსე ადამიანებს, ცას, მიწას, მზეს, თოვლს. თავად ჯანგატეხილი—სხვას ანუგეშებდა და ამხნეებდა. ბოლო დროს მუხლმა უმტყუნა და სახლში ჯდომა გაუტკბა. ხელის ძიგძიგით მოუკიდებდა სიგარეტს, მოქაჩავდა და სავარძელში ჩაეშვებოდა.

წარამარა ეცვლებოდა სახის იერი; აგონდებოდა: ტარიელ გოლუა, გვადი ბიგვა, ბათუ ქარდუა, აღმასგირ კიბულან, თავადის ქალი მაია... თვითეული მათგანი მისი საკუთარი სისხლის, ხორცისა და სულის ნაწილი იყო; ყოველი მათგანის ბედი, უბედობა, ტანჯვა თუ სიხარული განუყრელად ერწყმოდა მის პირად ადამიანურ ცხოვრებას.

მეზობელს გულისხმიერად, აკანკალებული ხმით მიესალმებოდა, მოიკითხავდა, მეგობარს მოინატრებდა,—მკვდარს პატივისცემით მოიგონებდა, ცოცხალს დიდხანს სიცოცხლეს და კარგად ყოფნას უსურვებდა; თავაზიანად, მოკრძალებით ეგებებოდა ყველას—დიდსაც და პატარასაც, უბრალოსაც და ბრალიანსაც, იცოდა ავი და კარგი ცხოვრებაშიც, ლიტერატურაშიც, შინაც და გარეთაც.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ქართველი ხალხის გულისთქმას უსმენდა, უსმენდა დაკვირვებით, მთელი გულისყურით. გასაოცარი სისათუთით ძერწავდა მშობელი ხალხის მიზანს და მისწრაფებას. უკვდავების შარავანდედით მოსავდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლ ადამიანებს...

...და უეცრად, საქართველოს ელვის სისწრაფით მოედო სამწუხარო ამბავი,—გარდაიცვალა ლეო ქიაჩელი.





ქართული  
ლიბრერი

# სენა







შეხედეთ, რა განცდით მუშაობს ქანაულის  
ლაკიბაზე! ეს — მიქერწავ-მემოღებელია — მ. შ. 1919 წ.  
კურსის მოსწავლე გ. თათარაშვილია.

— მე წმინდა ბასილის ლეგენდამ დამაინტერესა, — მინდა ქვაში ავამეტყველო; „უსასრულო ჯაჭვი“, — ასეთი სახელწოდება ექნება ჩემს მომავალ ქმნილებას, — გაანდო მეგობრებს გრონელმა.

— ყოჩაღ, გრონელ, ბრწყინვალე ჩანაფიქრია, — აღტაცებით წარმოთქვეს ენგურმა და გიორგიმ.

...გვიან ღამით დაიშალნენ შემოქმედებითი ცეცხლით ანთებული ბიჭები.

გადიოდა ხანი... გრონელ შაიშმელაშვილის ოცნება თანდათან რეალობად იქცა. და აჰა, სასწავლებლის დარბაზში მოწყობილ გამოფენაზე, იშვიათი სიზუს-

**გიორგი მესხიშვილი**

ფოტო  
დ. იაკობაშვილისა



**უსასრულო ჯაჭვი**

გვიანი შემოდგომის ერთ საღამოს მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეები გრონელ შაიშმელაშვილი, ენგურ ფანჯიკიძე და გიორგი დორეული მთაწმინდის ძირას, პატარა სკვერში ისხდნენ და რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ.

კამათში გართულებს არც კი შეუნიშნავთ, როგორ დაბინდდა; მოწმენდილ ცაზე კანტი-კუნტად ინთებოდნენ ვარსკვლავები.

გიორგი ამტკიცებდა: — ჩვენი სასწავლებლის ფიზკულტურული კოლექტივი საკავშირო მასშტაბით ყველაზე ძლიერიაო; ენგური ეჭვობდა, ზოგ რამეში ამხანაგს არ ეთანხმებოდა.

გრონელი კი იქვე, თავისთვის მიმჯდარიყო და ფიქრებს მისცემოდა, ამხანაგების გაცხარებულ საუბარს ყურს არ უგდებდა.

— შენ რას იტყვი, გრონელ, სწორი ვარ თუ არა? — ჰკითხა მას გიორგიმ.

— ეჰ, თქვენც, — სპორტი და სპორტი... მე, ბიჭებო, სულ სხვა რამეზე ვფიქრობ.

— მაინც, რაზე? „მსოფლიო სევდა“ ხომ არ შემოგაწვა? — ირონიულად შენიშნა გიორგიმ.

— შეხეთ, ბიჭებო, როგორ ბინდდება, ჯერ თითო-ოროლა ვარსკვლავი ჩანს, გეგონება—დაითვლიო; თანდათან მატულობს მათი რიცხვი... დაუსრულებლად, არა?..

— შენც ვითომ ახალი რამე თქვი, — თქვა გიორგიმ.

— აბა, ყველა შენსავით დანტეთი და კლასიკოსებით ხომ არ იქნება გატაცებული, — უთხრა გრონელმა.

— „სამყაროს უსასრულობა“... „დანტე“... მე კი, ბიჭებო, ჩვენი ხალხის სიბრძნე, ჩვენი ანდაზების შინაარსი ყველაზე მეტად მიტაცებს, — თქვა ენგურმა.

ტითა და სიფაქიზით შესრულებულმა, მთლიანი ქვისგან გამოკვეთილმა, ერთმანეთზე ასხმული რგოლების ჯაჭვმა, რომლის სიგრძე 9 მეტრია, მნახველებს სიმბოლურად მართლაც აგრძნობინა სამყაროს უსასრულობა. ნამუშევარმა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.



ქართული ორნამენტი  
სპილენძზე.



# ძლიერზე ძლიერი

ენგურ ფანჯიკიძე სულ სხვა რამეთი იყო გატაცებული...

ერთ დღეს იგი სასწავლებლიდან შინ ბრუნდებოდა. გზაჯვარედინზე, ქუჩის კუთხიდან კატა გამოხტა. მას ყვფით მოსდევდა მურია. ის იყო, ძალი კატას უნდა წამოწყოდა, კატა ელვის სისწრაფით აიჭრა ხეზე და იქიდან ძლევამოსილის იერით გადმოხედა კუდამოძებულ მურიას. მხატვარის თვალმა მყისვე იგრძნო ანდაზის ძალა: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონება“.

...მნახველები დიდხანს ჩერდებოდნენ დიდუბეში მოწყობილ სახალხო მეურნეობის მიღწევათა მუდმივ გამოფენაზე გამოტანილ ერთ გრაფიურასთან.

— შეხე, დედიკო! მსუნაგი კატა ხი-

ამეტიყველებინა დედაშვილური სიყვარული გრაფიურაში. და აი, მან თითბრისაგან გააკეთა თეფში, რომელზეც ორნამენტებითა და ბარელიეფით ასახულია დედაშვილური სიყვარული.

ნაშრომმა კარგი შეფასება მიიღო.

## მოსკოვისა და მილანის გამოფენებზე

სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის ვესტიბულს ამ სასწავლებელში აღზრდილ ბავშვთა შემოქმედების ბევრი კარგი ექსპონატი ამჟღავნებს. მათ შორის მნახველთა ყველაზე მეტ აღფრთოვანებას იწვევს გ. შაიშმელაშვილის ქანდაკება „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“.

როცა გ. შაიშმელაშვილი ამ თემაზე გატაცებით მუშაობდა, მის „უსასრულო ჯაჭვს“ გადალახული ჰქონდა საქართვე-



„უსასრულო ჯაჭვი“

დან თათს როგორ უქნევს მურიას, — აჯავრებს, ხომ?

— ჰო, კარგი ჩანაფიქრია... რა მეტიყველად შესრულებული, — ჩაილაპარაკა თავისთვის ერთმა თმაშევერცხლილმა, დარბაისელმა მამაკაცმა და გრაფიურის ეტიკეტს დახედა. ეტიკეტზე ეწერა: „მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის III კურსის მოსწავლე ე. ფანჯიკიძე“.

— რატომ ჰქვია „ძლიერზე ძლიერი“, დედიკო? — ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა პატარას.

— იმიტომ, რომ ფიზიკურად სუსტმა ფისომ, მოხერხებით მასზე ღონიერ მურიას აჯობა, — უთხრა დედამ შვილს და ალერსიანად გადაუსვა თავზე ხელი.

„რა მშვენიერად განუმარტა ჩემი ჩანაფიქრი“, — ფიქრობდა გური, რომელიც იქვე იდგა და თვალს არ აშორებდა ბავშვის სახეს...

„დედა და შვილი“, „დედაშვილურის სიყვარული“, — აი, რა იყო გურის სადიპლომო ნამუშევრის თემა.

დიდხანს ფიქრობდა გური, თუ როგორ

ლოს საზღვრები, — იგი მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. მოსკოველები აღტაცებას ვერ ფარავდნენ გ. შაიშმელაშვილის ნამუშევრის დათვალეობისას. გ. შაიშმელაშვილმა ამ ნამუშევრისთვის მადლობა და სიგელი დაიმსახურა...

1962 წელს ლეონარდო და ვინჩისა და რაფაელის ქვეყანაში მოეწყო მსოფ-

ლის სამხატვრო პროფსასწავლებელთა მოსწავლეების შემოქმედებითი ნამუშევრების გამოფენა. ამ გამოფენაზე გაიგზავნა გიორგი დორეულის ნაწარმოები — გრაფიურა სპილენძზე „დანტე“ და ა. შანბაზიანის გრაფიურა „ლეონარდო და ვინჩი“.

მაღე თბილისში სასიხარულო ცნობა





ქართული ორნამენტები ხეზე — მესამე კურსის მოსწავლეთა ნამუშევარი.

მოვიდა მილანიდან: გრავიურები „დან-ტე“ და „ლეონარდო და ვინჩი“ მილანის მუდმივი გამოფენისათვის დაიტოვეს; სასწავლებელს მადლობა და სამახსოვრო მედალი გამოუგზავნეს.

## სასწავლებლის ღარბაგებში

თბილისის მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის დიდებული შენობა დ. ჭონქაძის ქუჩაზეა მოთავსებული. მას თავზე ამაყად დააყურებს ქართველ კლასიკოსთა მუდმივი სავანე — მთაწმინდა.

მხატვარ-დეკორატორი, მოქანდაკე-მემოდლე, ქვის მხატვრული დამმუშავებელი, მლესავი, მეფილე, მღებავი, — აი, სპეციალობები, რომლებსაც ეუფლება სასწავლებლის 269 მოსწავლე.

ახალგაზრდები სასწავლებლის კარგად მოწყობილ ლაბორატორიებში დებულობენ პირველ პრაქტიკას, მე-2 კურსიდან კი ისინი პრაქტიკას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გადიან.

ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა მძერწავ-მემოდლეთა ჯგუფის ოსტატს სოსო ხუციშვილს, სად წაეყვანა ბავშვები პრაქტიკაზე, როცა მას ამავე ჯგუფის მოსწავლემ — გივი თათარაშვილმა უთხრა:

— პატივცემულო სოსო, მე წილს ბორჯომში ვიყავი. ცუდ დღეშია სანატორიუმ „ფირუზა“ 1-ის შენობა. გავიგე, იქაურ ხელმძღვანელობას გადაუწყვეტია მისი კაპიტალური შეკეთება; რა კარგი იქნება, ჩვენ რომ გავაკეთოთ ეს საქმე.

— მართლაც კარგი აზრია! — კვერი დაუკრა ამხანაგს ი. ბეიტრიშვილმა.

ოსტატს ბავშვების რჩევა ჭკუაში დაუჯდა. თურმე მასაც ენახა ადრე ეს სანატორიუმი.

— „შედლებენ ვითომ?! არა, მთავარია მონდომება, საქმის სიყვარული, რაც ჩემს მოსწავლეებს არ აკლიათ“, — ფიქრობდა სოსო.

კურორტ ბორჯომის ერთ-ერთ უძველეს სანატორიუმს — „ფირუზა“ 1-ს ბორჯომის თვალს ეძახდნენ. მაგრამ შენობას ჟამთა სვლამ თანდათან დაუკარგა პირვანდელი სახე. კედლებს აქა-იქ ბათქაში ჩამოსცვივდა, დაზიანდა ფერებიც... შენობას სიძველის ელფერმა გადაჰკრა.

და აი, თბილისის სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეები, სოსო ხუციშვილის ხელმძღვანელობით, ბორჯომს ესტუმრნენ.

გაჩაღდა შრომა.

სანატორიუმის ფასადზე ორნამენტები და ჩუქურთმები ზოგან ხელახალ აღდგენას მოითხოვდა, ზოგან — სერიოზულ შეკეთებას. თავდადებით, მუყაითად მუშაობდნენ ბავშვები.

დიდად კმაყოფილი დარჩნენ ბორჯომელები მოსწავლეთა თავდადებული შრომით.

ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ პრემიით დააჯილდოვა სოსო ხუციშვილი და მისი ჯგუფი...

— შენობა სრულყოფილი ვერ იქნება, თუ შიგნითაც შესაფერისად არ გავაფორმეთ, — თქვა მე-3 კურსის მოსწავლემ იმარ პეტრიაშვილმა.

— ასე რომ, უჩვენოდ მძერწავ-მემოდ-

ლეღ შემსრულებლები შორს ვერ წაველენ, — კვერი დაუკრა მას ოსტატმა აკაკი გურაბანიძემ.

— ჩვენც გვაქვს ჩანაფიქრი, — თქვა ზელიმხან უროტაძემ, — გვინდა ჩვენი ამხანაგების მიერ შეკეთებული შენობა შიგნიდან ჩვენ გავაფორმოთ.

— ხოლო ჩვენი ნახელავი ავეჯი, — დაბეჯითებით დაუმატა წითელი ხის მეავეჯეთა განყოფილების ოსტატმა გიორგი ნამორაძემ, — დასრულებულ სახეს მისცემს ამ შენობას.

— ეს იქნება ჩვენი სასწავლებლის ნამუშევრების თავისებური გამოფენა, — დაასკვნა დირექტორის მოადგილემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ოსტატმა — ალექსი ზედელაშვილმა.

ქართული ორნამენტები ხეზე — მესამე კურსის მოსწავლეთა ნამუშევარი.







მარეკ პეპუსის

პრაქვიულბრივი

# თავგადასავალი

რა უნდა მექნა, — კედლის აფთიაქიდან ბამბა გამოვიღე და ჩესეკს გავუწოდე. ამ დროს გეესეკი ამაოდ ცდილობდა საცობის ამოძრობას.

— ვერ ვაძრობ ამ ოხერს, ძალიან მაგრადაა დაცმული.

— მომეცი აქ, — ჩესეკმა გამოგლიჯა მას სინჯარა, — მარეკ, გაქვს კორპსაძრობი?

რაც არ უნდა მომხდარიყო, ჩემთვის უკვე სულერთი იყო და მე მას კორპსაძრობი გავუწოდე. ჩესეკმა ენერგიულად დაუწყო კორპსაძრობს საცობში ჩახრახვნა და უცებ, ჰოი, საშინელება! — სინჯარა გასკდა. შუშის ნამსხვრევი იატაკზე მიმოიფანტა და ოთახში ასხუთმა რწყილმა დაიწყო ხტუნვა.

— ეს რა ჰქენი? — არაადამიანურად დაიღრიალა გეესეკმა, — არ გაუშვა, დაიჭი, დაიჭი!

— მთელი ოთახი რწყილებით აივსო, — ამოვიგმინე მე. — უკვე მკბენენ!

— მეც! — დაიჩხავლა გეესეკმა.

გაცეცხლებული დავუტრიალდით რწყილებს, მაგრამ — ამაოდ. ასხუთი რწყილი ხუმრობა როდია. მხოლოდ ჩესეკი ინარჩუნებდა სიმშვიდეს.

— შეწყვიტეთ ფხანა, ეს არ გიშველით. მოდით ვცადოთ, იქნებ დავიჭიროთ.

მუხლებზე ხოხვით ვცდილობდით იატაკზე მხტუნავი რწყილების დაჭერას.

— დაიკარგენით თქვენ და თქვენი რწყილები! — დავუცაცხანე ბიჭებს, — ასეთი იდიოტები გინახავთ?!

— შენ არ მოიგონე ეს? — უტიფრად წამომძახა გეესეკმა.

— მე? — აღშფოთებისაგან კინალამ დავიხრჩე, — მე კი არა, — ჩესეკმა...

— მე? მე ხომ ჭიანჭველები გირჩიეთ, — თავხედურად განაცხადა ჩესეკმა, — თქვენ კი რწყილები არჩიეთ.

— მე, უბრალოდ, ვიხუმრე, — ჩაიცინა გეესეკმა.

— აჰა, იხუმრე, ხომ? მაშ, სინჯარა ვინ იშოვნა? იქნებ შენ არ გიშოვნია?

არ ვიცე, რით დამთავრდებოდა ჩვენი კამათი; კიდევ ერთი წუთი და — ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდოდით, რომ უეცრად მკვეთრად დაიღრიალა ზარმა.

— ვილაც მოდის, — აწრიალდა ჩესეკი.

— დეიდა დორაა, — ვუთხარი ბიჭებს, — დეიდა დორა ყოველთვის ისე რეკავს, თითქოს ხანძარი იყოს სადმე. სჯობია წახვიდეთ, ვიდრე გვიან არ არის. დეიდა დორას ხუმრობა არ უყვარს.

ჩესეკს და გეესეკს ცოტა რამ გაგონილი ჰქონდათ დეიდა დორას შესახებ. ისინი დამდულრულებივით წამოხტნენ და გასასვლელს ეცნენ. კარებში დეიდა დორას შეეჯახნენ. დეიდა დორა მკაცრი გამომეტყველებით მიამტერდა მათ და ბიჭები მზად იყვნენ მიწაში ჩამძვრალიყვნენ შიშისაგან.

— გამარჯობა, მარეკ. როგორა ხარ, ყმაწვილო? — ისე რა, დეიდა.

გაგრძელება. იხ. „ბიონერი“ № 1.



მე ხელზე ვაკოცე.

— ეს ყალბაბანდები საიდან? კიდეც მოყარე ვიღაც მაწანწალები?—დეიღამ ქოლგა მოუქნია ჩესეკსა და გვესეკს, — რას გაშტერებულხართ, გაეთრიეთ აქედან! თქვენს გამო ბავშვი ვერ მეცადინეობს.

ჩესეკი და გვესეკი გაიძურწნენ კარებში, დეიდა კი კვლავ მე მომიბრუნდა:

— დედაშენისა მიკვირს, როგორ გაძლევს ამის უფლებას, ღმერთმა იცის, ვისთან დადიხარ. თქვენები სად არიან?

— მამა წასულია, დედა დასასვენებლად.

— დასასვენებლად? — გაიოცა დეიღამ, — რას ამბობ, ყმაწვილო? მე რატომ არაფერი ვიცი?

— დედა სანატორიუმშია, სამკურნალოდ.

— რას ამბობ, მარეკ! სანატორიუმში? ოჰ, ახლანდელი ექიმები! მე ხომ თავიდანვე ვიცოდი, რომ ასე დამთავრდებოდა. იმ საცოდავს ჩემთვის რომ დაეჭერებინა!.. მაგრამ დედაშენი... შენც რაღაც ვერ გამოიყურები კარგად, ყმაწვილო, — დეიდა ყურადღებით დამაკვირდა, — მოდი აქ.

სასოწარკვეთილი უკან გადავხტი.

— არა, დეიდა, მე სრულიად ჯანსაღად ვარ, თქვენ მხოლოდ გეჩვენებათ.

მაგრამ დეიდაჩემი განა ასე იოლად მოეშვება ვინმეს? კედელთან მიმიწყვდია და ჩანთიდან კოვზი ამოიღო.

— ნუ გეშინია, ყმაწვილო, ენა გამოყავი, თქვი: ა-ა...

დეიღამ ენერგიულად ჩამთხარა კოვზი ხახაში; თვალები გადმომცვივდა, კოვზი კინალამ ყელში გამეჩხირა.

— რასაკვირველია, — თავი დაიქნია მან, — ისევ ნუშისებური ჯირკვლები გაქვს გადიდებული. ეს თქვენ, ყმაწვილო, შთამომავლობით მოგდგამთ, ყველანი სუსტები და ავადმყოფები ხართ.

მაგრამ მე უკვე აღარ ვუსმენდი მას. რწყილებმა ახალი ძალით შემომიტიეს, თავი ვერ შევიკავე და ფხანა დავიწყე. დეიღამ ეს მაშინვე შენიშნა.

— რას იქექები ყმაწვილო? — მზრუნველობით იკითხა მან, — მუნი ხომ არა გაქვს? აბა, ახლოს მოდი...

— არაფერი არა მაქვს... ეს ისე...

— გაიხადე პერანგი!

— დეიდა, მე ვაკვეთილები მაქვს მოსამზადებელი, — ამოვიგმინე საცოდავად.

— ჯანმრთელობა, — უპირველეს ყოვლისა, მარეჩეკ. გაიხადე! — მიბრძანა დეიღამ და, ჩემი პროტესტის მიუხედავად, პერანგი გამაძრო, — აბა, ეს რა არის? — სათვალე გაიკეთა და ყურადღებით დამაშტერდა ზურგზე, — რაღაც საზიზღარი გამონაყარი გაქვს და სიწითლე. ახლავე ლოგინში!

სასოწარკვეთილი ჩავძვერი საბნის ქვეშ. დეიდაჩემი მაშინვე შეუდგა ჩემი მუცლის ჰყლეტას. თავდაპირველად მეხიჩინებოდა და ვხითხითებდი, მაგრამ მერე დეი-



დაჩემი სერიოზულად მოეკიდა საქმეს და მუცელი ძალიან მეტყინა.

— ვაი, ვაი! — წამოვიკენესე, — ნუ მაჭერთ ხელს, მტკივა!

— აი, ხედავ? გტკივა არა? — გაეხარდა დეიდას, — ნამდვილად აპენდიციტია. ესეც შთამომავლობითა გაქვს. მაგრამ გამონაყარი საიდანღა გავიჩნდა? უთუოდ რაიმე გართულებაა, — დეიღამ ჩანთიდან აბი ამოიღო და პირდაპირ პირში შემეიდო, — მიიღე, ყოველი შემთხვევისათვის. ახლა კი — სიცხე გავიზომოთ. — დეიდა დორა მოხერხებულად დაჯდა, თერმომეტრი ამოიღო და ილიის ქვეშ ამომჩარა. ვიღრე მე სიცხეს ვიზომავდი, ის ხან საათს დასჩერებოდა, ხან უკმაყოფილო სახით ათვალერებდა ოთახს.

— როგორ ცხოვრობთ... ოჰ, რა ცუდად ცხოვრობთ! — ამოიოხრა მან.



მოულოდნელად, დეიდა დორამ მძინარეს ჰკიდა თვალი. მაშინვე გაიკეთა სათვალე და გაცეცხობით დააშტერდა მძინარე კაცს.

- ეს ახალი პიროვნება ვილაა?
- ჩვენი მდგმურია, პან ფანფარა.
- ალბათ, მუსიკოსია ან ჯამბაზი.
- არტისტი, დეიდა.

— არტისტი? — დეიდამ უსიამოდ გააქნია თავი, — რა უსუფთაოდ გამოიყურება. ყველა არტისტი უსუფთაოა. ერთი მითხარი, ხანდახან მაინც თუ იბანს პირს?

- იბანს, როგორ არა.
- ჩემის აზრით, იგი ავად არის, — შენიშნა დეიდამ, — ყოველშემთხვევისათვის, მე აბებს მოგცემ.

ის იყო, ჩანთაში უნდა დაეწყო ხელის ფათური, რომ ამ დროს გასაოცარი რამ მოხდა: დეიდაჩემმა ჯერ ცივად წამოიკვილა, მერე წამოხტა და ერთ ადგილას დაიწყო ტრიალი.

გაცეცხობულმა თვალემა გადმოვკარკლე.

- რა მოხდა, დეიდა?
- უცნაური რაღაც მემართება, — სუსტი ხმით წარმოთქვა მან, — ეს რაღაც კომპარია. უთუოდ შენი გამონაყარი გადმომედო... უკაცრავად, მარეჩეკ, მე უნდა წავიდე....

- უკვე გკბენენ, დეიდა? — საქმიანად ვკითხე მე.
- რა თქვი, მარეჩეკ?
- რწყილები შემოგესივნენ? — ჩვენ აქ ასხუთი რწყილი გყავს.
- რა თქვი?

— იმ სალახანა ჩესეკმა მოიყვანა რწყილები და აქ გაგვექცენენ.

— რწყილები! — სასოწარკვეთით წამოიძახა დეიდა, — ოჰ... მიშველეთ!

და სიტყვებით: „ვკვდები, — რწყილები“, სკამზე დავარდა.

მე ლოგინიდან წამოვვარდი, თერმომეტრი გადავაგდე, აბი გამოვაფურთხე და ჩემს დებს კარებზე მუშტები მივუბრაგუნე.

- იაძია! კრისკა! დეიდა დორას უშველეთ!
- კარებში გამოჩნდნენ ჩემი ძვირფასი დები.
- რა მოხდა?

ისინი ხან მე მიყურებდნენ, ხან დეიდას.

— ვერა ხედავთ? დეიდა დორას გული წაუვიდა!

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა მოუვიდა? — ისინი მისცივდნენ დეიდას და მოსულიერება დაუწყეს. — მარეკ, გაიქეცი, წყალი და ვალერიანის წვეთები მოიტანე.

როცა უკან დავბრუნდი, წყლითა და ვალერიანის წვეთებით, მათ უკვე გაჰყავდათ სუფთა ჰაერზე ჩვენი ცოცხალ-მკვდარი დეიდა.

შვებით ამოვისუნთქე და გაკვეთილებს მივუჭექე. გადავიწერე ამოცანის პირობები და დავიწყე ამოხსნა. უე-

ცრად ისევ ზარმა დარეკა. სკამიდან ადგომა ვერ მოვასწარი, რომ ოთახში ერთმანეთის მიყოლებით, მხარზე ხელთათმანგადაკიდებული სამი მოკრივე შემოიჭრა. ესენი იყვნენ მოკრივეთა გუნდის წევრები: ბუბა პირველი, მისი ძმა და მუხა ჩოპეკი.

— სალამი, მარეკ, — თქვა ბუბა პირველმა, — პან ალექსა ვარჯიში დაგვინიშნა.

— ალექი შინ არ არის, — წავიღუდლუნე.

— არა უშავს. უმისოდ დავიწყებთ, — თქვა მუხა ჩოპეკმა და სამივემ სპორტული ფორმა ამოათრია.

ვიდრე პირს გავალბედი, ბუბა მეორემ სავარჯიშო ტომარას ისეთი ძალით მოარტყა, რომ ტომარა ხმაურით დამეცა თავზე. ვიგრძენი, სკამიდან სადღაც ბნელ უფსკრულში მივფრინავდი. როცა გონს მოვედი, დავინახე: თავს წამომდგომოდნენ ბუბა პირველი, ბუბა მეორე და მუხა ჩოპეკი.

— სულ მოდუნდი, — თქვა ბუბა პირველმა, — ეს პირდაპირი დარტყმა გამოგივიდა, — მან წასახალისებლად ხელთათმანიანი ხელი მხარზე დაჰკრა ბუბა მეორეს.

— მომეცი წყალი! — ბრძანა მუხა ჩოპეკმა.

ბუბა პირველი მაგიდას მიუახლოვდა და მუხას ყვავილებიანი ლარნაკი მიაწოდა. მუხამ ყვავილები ამოყარა და წყალი თავზე გადამასხა. გველნაკბენივით წამოვვარდი.

— არამზადებო! — დავიყვირე და თან წყალს ვიწურავდი, — ახლავე გაეთრიეთ აქედან.

— დაწყნარდი, ბიჭუნი, ნუ ნერვიულობ, — ბუბა პირველმა მოწყალედ მომიტათუნა ხელთათმანი ლოყაზე.

გაცეცხობულმა ხელი ვკარი:

— ეი, შენ, წაიღე ტორები, თორემ ისე მოგადო, რომ!

— აბა ერთი სცადე, ლაწირაკო!

— აჰა! — საფუძვლიანად დავუმიზნე და ყურისძირში ვლექე ბუბა პირველს.

ბუბა პირველი დარტყმისაგან შეტორტმანდა, კედელს მიენარცხა, მაგრამ მაშინვე მოსწყდა ადგილიდან და მეძგერა. ერთი წუთით კედელთან მიმომწყვდია, მაგრამ აქ მე გავცეცხლდი. ჩემში აჩუხჩუხდა სისხლი ჩემთა წინაპართა, რომელნიც იბრძოდნენ გრუნვალდთან და რაცვალდთან. კონტრიერიშზე გადავედი და ბუბას ყბაში ამოვკარი. ბუბა შეტორტმანდა, მთვრალივით დაირწა და ვიოლონჩელოზე დაეცა. ვიოლონჩელო ნამსხვრევებად გაიფანტა აქეთ-იქით.

პან ფანფარამ უეცრად გააჰყიტა თვალემა და ლოგინში წამოჭდა.

— დასარტყამო საკრავებო, გაჩუმდით! პიანისიმო! — წაილულულა მან, ლონემიხდილი დაეცა ბალიშზე და კვლავ დაეძინა.

ჩვენ ხმა გავკმინდეთ და შეშინებულები დამსხვრეულ



ვილონჩელოს მივაჩერდით. მუხა ჩოპეკი პირველი მოვიდა გონს, ინსტრუმენტზე დაიხარა და თვალიერება დაუწყო.

— სულ ნაფოტებია.

— უტილნედლეულია, — ჩაიბურტყუნა ბუბა მეორემ.

— საზიზღრებო! — წამოვიდახე სასოწარკვეთილმა; ვგრძნობდი, — კიდევ ცოტა და... ავღრიალდებოდი, — იგი ამას არ გვაპატიებს; მხოლოდ ეს ინსტრუმენტი აბადია და... და... საერთოდ, იგი ამბობდა, რომ ვილონჩელო ჩემი ცოლიაო.

— ნუ ღელავ, — თქვა ბუბა პირველმა, — ჩვენს სახლში ღურგალი ცხოვრობს; ის გაამთელებს.

— ვითომ შესძლებს? მე, რატომღაც, ეჭვი მეპარება.

— შესძლებს, — მარწმუნებდა ბუბა პირველი, — ამას წინათ პიანინოც კი მოაპირკეთა. წავუღებ ამ ყუთს და დააწებებს...

— მოასწრებ დაბრუნებას, ვიდრე პან ფანფარა გაიცივებდეს? — შეეწუხა მე.

ვიდრე ბუბა მიპასუხებდა, ზარმა დაიწკრილა.

შიშით გავიტრუნეთ.

— ვილაც მოდის, — წამჩურჩულა ბუბა მეორემ.

— აბა, გზა! — ბრძანება გასცა ბუბა პირველმა.

ინსტრუმენტს წამოავლო ხელი და, ბუბა მეორესთან ერთად, ფანჯრიდან გადახტა. მუხა ჩოპეკმა გადახტომა ვერ მოასწრო. ჯერ აქეთ-იქით მიმოიხედა და, სასოწარკვეთილი, ვილონჩელოს ბუდეში ჩაძვრა.

ღერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა და ზღურბლზე გამოჩნდა პან ცედური, — პან ფანფარას კოლეგა, ელეგანტური შეხედულების მამაკაცი, ხშირი, აბურღვნილი თმებით.

— როგორა ხარ, piccolo?<sup>1</sup> — ღიმილით დამიქნია ხელი, და მიმოიხედა, — მეტრ ფანფარა სადღაა?.. ოჰო, მეტრს ძილი უნებებია. — მოპარული ნაბიჯებით მიუახლოვდა იგი საწოლს, — ეპეი, ანატოლ, კვლავ მორფეას მკლავებში ხარ? ადე, ადე, მელოტო აპოლონო!

— თუ შეიძლება, ნუ აღვიძებთ, — მიგვარდი პან ცედურს, — პან ფანფარა ავად გახლავთ. პარტახტიანი ტიფი აქვს.

— ტიფი? ასეთ კოვბოის? — გაიკვირვა პან ცედურმა, — შენ ალბათ ხუმრობ, ჩემო bambino<sup>2</sup>. მომიტევე, ჩემო ბიჭუნე, მაგრამ მე მაინც უნდა ვუთხრა მას ორიოდე სიტყვა საქმეზე, რომლის გადადებაც შეუძლებელია, — ხელოვნების ბედი ბეწვზე ჰკიდია.

— ვიცი, ვიცი, — ვუთხარი მე და თან ვცდილობდი

ახლოს არ მიმეშვა იგი პან ფანფარასთან, — ბათ, ვილონჩელოსათვის მოხვედით.

— მიმიხვდი, bambino, — მიპასუხა პან ცედურმა დახვეწილი ღიმილით, თან ცდილობდა — გვერდზე გავეწვიე, — სწორედ ამიტომ მოვედი თქვენს ბუნგალოში.

— არაფერი გამოგივათ, — ცივად ვუპასუხე მე, — ვილონჩელო არ არის.

— როგორ თუ არ არის? — წარბები შეკუმხნა პან ცედურმა.

— არ არის... არ არის! — ჩავიბურტყუნე ჩემთვის, — იმიტომ რომ... იმიტომ რომ, პან ფანფარამ იგი დასაწებებლად გააბარა.

— დასაწებებლად? — გამოცოცხლდა პან ცედური, — რა სისულელესა როშავ, piccolo bambino!

— დიახ, დასაწებებლად გააბარა, — უკვე უღმერთოდ ვიტყუებოდი, — რადგან ვილონჩელო გასკდა სიგრძეზეც და სიგანეზეც.

— აი, აქ არ არის?! — ხელიდან გამისხლტა პან ცედური და ფუტლიართან მიიჭრა, — შენს maestro doloroso-ს<sup>3</sup> უთხარი, რომ როგორც კი გამოჯანსაღდება, ვილონჩელოს დავუბრუნებ. ტიფიანები მუსიკალურ ინსტრუმენტებზე როდი უკრავენ.

— ხელი არ ახლოთ! — დავიყვირე, — პან ფანფარამ მითხრა, არაფერი არ ათხოვოო, თქვენ ისედაც დანერწყვით საქსაფონის მთელი მუნდშტუკი.

— მართლა ასე გითხრა ამ მელოტმა diablo-მ?<sup>4</sup> მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. ვილონჩელო არტისტიკოსათვის — მუშა ინსტრუმენტი. დიდმა პაგანინმა შემოქმედებითი ექსტაზის დროს სამაჯერ დაამსხვრია თავისი ვიოლინო. მე კი — რა მოხდა, მუნდშტუკი დამენერწყვოს!

ასე მსჯელობა-მსჯელობით იგი თანდათან უახლოვდებოდა ფუტლიარს; გაოგნებულმა გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ იგი ფუტლიარს მივარდა, ასწია და დაიკვნესა.

— დასწყევლა ეშმაკმა, როგორ დავსუსტებულვარ! — ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე კი შეეცადა ფუტლიარი მხარზე შეედგა.

— O, per bacco!<sup>5</sup> — ხმამალა დაიყვირა მან, ფუტლიარი ყრუდ დავარდა იატაკზე. იმ წუთსავე ფუტლიარიდან მოისმა მუხა ჩოპეკის გამყვიანი ხმა:

— ვაი, ვაი... მიშველეთ!

შეშინებული პან ცედური უკან გადახტა.

— ეს რა არის? შენც გაიგონე რამე, bambino? ერთ ხანს მიაყურა, მერე მიუახლოვდა და შეშინებულმა ასწია ფუტლიარის თავსახურავი. იქიდან მუხა ჩოპეკი გადმოვარდა.

— ვაი... ვაი... ფეხი! — დაიღრიალა მან და მაშინვე ფანჯრის რაფას გადაეგლო.

პან ცედური გაცოცხლებიან გაშრა.

<sup>1</sup> piccolo — პატარავ (იტალიურად).  
<sup>2</sup> bambino — ბიჭუნე (იტალ.).  
<sup>3</sup> ავადმყოფ მასწავლებელს (იტალ.).  
<sup>4</sup> ეშმაკმა (იტალ.).  
<sup>5</sup> ეშმაკმა წაიღოს (იტალ.).




— ეს რა ხუმრობაა? — მკითხა მე და თან შუბლს ცხვირსახოცით იწმენდა, — ეტყობა, პან ფანფარამ გადაწყვიტა გავემასხრებინე?.. მოიცა, *fratello mio*,\* მეც ვიცი მასხრობა.

ამ სიტყვებით იგი მიუახლოვდა ტელეფონს და აკრიფა ნომერი.

— ალო, სასწრაფო დახმარება! ტიფის მძიმე მდგომარეობაა. ანატოლ ფანფარა, საქსო-ვიოლონჩელისტი, ცაცხვის ქუჩაზე, თორმეტ ნომერში, პეგუსების სახლში... დიახ, პარტახტიანი ტიფი აქვს, სრულიად უგონოდ არის და წამდაუწყუმ ბოდავს. ვინ გიძახებთ? ცეზარ ცედური — მუსიკოსი. — მან დააგდო ყურმილი და პან ფანფარას დაემუქრა: — სასწრაფო დახმარებას ახსნა-განმარტებას მისცემ, მელოტო აპოლონ! შენ კი მოწმედ უნდა დამიღვე, — გადმოძახა მე და ოთახიდან გავარდა.

მე სავარძელში ჩავეშვი და უკვე აღარ ვცდილობდი, გადამეშალა სახელმძღვანელოები. ველოდებოდი ზარს. აბა, ამაზე რაღას იტყვი? წუთსაც არ გაუვლია, რომ კარზე დარეკეს. ამჯერად ორნი მოვიდნენ: ჩემი ნაცნობი ყმაწვილი სამოდელო სახელოსნოდან—ტეოსი და მისი ლაბადამოსხმული ამხანაგი. ყუმბარებივით შემოცვივდნენ ოთახში.

\* ჩემო ძამიკო (იტალიურად).



— მარეკ, უყურე, რა გვაქვს! აჩვენე ერთი, გორბაჩმა გორბაჩად წოდებულმა ყმაწვილმა ლაბადის კალთა დადიწია და ლითონის რალაცამ გაიბრწყინა.

მე ისეთი სახე მივიღე, თითქოს სულაც არ მაინტერესებდა. მაგრამ ამან ვერ წაუხდინა საქციელი ჩემს სტუმრებს.

— ყუმბარა გავაკეთეთ, — თქვა გორბაჩმა, — არა გჯერა? აი, ნახე, — მან რალაც მათარის მსგავსი ამოათრია, — ნამდვილი ყუმბარაა. კონსტრუქცია უბრალო აქვს. გარსაცავი — ალუმინის მათარისაა, შიგ კი პიროჰექტატრიტოლია. რომელ კედელსაც გინდა, იმას გააცამტვერებს. მომეცი პატრუქი, ტეოს!

ტეოსი მყისვე ჩაძვრა ჯიბეში და მუქი მავთული ამოიღო.

გორბაჩმა გამოგლიჯა მავთული და ხელისკანკალით დაიწყო მათარაზე მისი მიმაგრება.

ეს კი უკვე მეტისმეტი იყო. სკამიდან წამოვვარდი: — რას აკეთებთ?

— ნუ გეშინია, — ჩაიბურტყუნა თავისი საქმით გატაცებულმა გორბაჩმა, — ახლა ჩავატარებთ პატარა ცდას. — აქ, ოთახში?

— დიახ, აქ. ჩვენ გადავწყვიტეთ—სწორედ აქ, შენთან გამოგვეცადა, რადგან ამ ოთახს ყველაზე სქელი კედლები აქვს, — განაცხადა ტეოსმა, — ძველებური სახლია.

— ჭკუიდან ხომ არ შეიშალეთ? — ქეჩოში ვწვდი მას.

— ნუ ღელავ, — მაწყნარებდა გორბაჩი, — მეცნიერება მსხვერპლს მოითხოვს. ეინშტეინმა, მაგალითად, მეც-

ნიერების გულისათვის უკანასკნელი შარვალი გაიძრო და გაყიდა. ჩვენ კი ეპოქალური გამოგონება გვაქვს.

— გაეთრიეთ! — დავიყვირე, — მე არ მინდა მსხვერპლი გავხდე.

— მოუკიდე პატრუქს, ტეოს, — გულგრილად უბრძანა მას მეგობარმა.

ტეოსს მივვარდი, მაგრამ უკვე გვიან იყო. პატრუქი აშინდა, ნაპერწკალი მავთულს გაჰყვა...

ჩასაქრობად მივიწვევდი, მაგრამ რკინისებური მკლავები მაკავებდნენ. ღრიალით დავუსხლტი ხელიდან.

— ჩააქრეთ, გოყებო!.. მიშველეთ, მიშ... — მაგრამ აქ ცხვირსახოცი ჩამჩარეს პირში.





ეტყობა, ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ მოფიქრებული.

— ნუ იგროხები, უკვე გვიანაა... დათვალე, ტოს, — წაიღუდუნა გორბაჩმა, — „შვიდს“ რომ იტყვი — მაშინ გაუშვავთ, „ათზე“ — აფეთქდება.

— გიყებო... ლოგინში... აღამიანია... — ვამბობდი მე, მაგრამ ცხვირსახოციტ მქონდა პირი გამოტენილი და გარკვევით არაფერი არ ისმოდა.

სამი...

ოთხი...

ხუთი...

## ექვსი.

„შვიდზე“ ხელი მკრეს კარებისაკენ, მაგრამ ისე უხეშად, რომ ფეხისსაწმენდს წამოვედე და მთელი სიგრძით გავიშხლართე.

ტოსი და გორბაჩი ზედ დამეცნენ.

— ცხრა... ათი... დავიღუბეთ, ვერ მოვასწარებთ — განწირული ხმით ჩურჩულებდა ტოსი.

მე პატრუქს ვუყურებდი სულგანაბული.

პატრუქი ბოლომდე დაიწვა. უეცრად ყუმბარიდან რაღაც თეთრმა სითხემ გამოყოხა.

ტოსი და გორბაჩი გაოგნებული უყურებდნენ ერთმანეთს.

— რა მოხდა... არ აფეთქდა! — გაფითრებული ტუჩებით ჩურჩულებდა ტოსი.

— რა წვეთავს?! — გაიკვირვა გორბაჩმა.

ისინი ფრთხილად მიუახლოვდნენ ყუმბარას.

— რაღაც თეთრია, — გორბაჩმა თითი გუბეში ჩაპყო, დაყნოსა და გაილოკა, — აბა, ნახე გემო! — და თითი ტოსს მიუტანა პირთან.

— რძესა ჰგავს, — თქვა ტოსმა.

თვალებგადმოკარკლული გორბაჩი აჩქარებით იწმენდდა შუბლს.

— რა მოხდება ახლა?... — დაიკვნესა მან.

— რა დაგემართა? — შეწუხდა ტოსი, გორბაჩი გველნაკბენივით წამოხტა.

— რა მოხდება... მათარები შემეშალა! ეს მამაჩემის მათარაა — რძისა...

— მამამ, ეტყობა, ჩვენი ყუმბარა წაიღო ქარხანაში... — წაიჩურჩულა ტოსმა.

— გავიქეთ, ჩქარა! — დაიყვირა გორბაჩმა და კარებს მივარდა.


— სად მიდიხარ?

— ქარხანაში! მამაჩემი დალევს წინ რძეს ლუმელზე ათბობს ხოლმე... რომ აფეთქდეს?

ისინი გიყებივით გაცვივდნენ გარეთ.

მაგიდასთან ვიჯექი, ხელეები ნიკაპქვეშ მქონდა ამოღებული და მძიმედ ვსუნთქავდი. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიჯექი ასე. კარებზე კვლავ ვიღაცამ დააკაკუნა. ადგილიდან არ დავძრულვარ. კიდეც დააკაკუნეს, მერე კარი ფრთხილად გაიღო და ჭერ გრძელი ბამბუკის ანკესი გამოჩნდა, მერე კი ამ ანკესს რეზინის ჩექმებიანი მსუქანი კაცი შემოჰყვა. ხელში პატარა ვედრო ეჭირა.

— შეიძლება? — თავაზიანად იკითხა მან.



— არა... არა! — წამოვიყვირე და სკამიდან წამოვხტი.

თავაზიანმა მსუქანმა კაცმა, ეტყობა, ვერ გამიგო, რა მინდოდა, დელიკატურად მიხურა კარები და ნაზად წაიღუდუნა:

— გაკვეთილებს ამზადებ?... დაამზადე, დაამზადე, ნუ მოცდები, ჩემო ბიჭუნო.



# ს ა ნ ი მ უ შ ო

## ილია აროსია

აღისფერი ყელსახვევი  
 მუდამ კოხტად უკეთია,—  
 სკოლაში და სკოლის გარეთ  
 ახსენებენ გულკეთილად;  
 ემარჯვება—თავის ტოლებს  
 გაბედულად რომ უძლოდეს,  
 თვითონ მართლაც სანიმუშო,—  
 სხვებსაც ასე მოუწოდებს:  
 «—აკენიდანვე მშობლიური  
 მზრუნველობით დამტკბარები,—  
 ჩვენ გვბაძვენ ყველაფერში  
 ჩვენზე უფრო პატარები;  
 პიონერის ყოველ ნაბიჯს  
 აკვირდება ოქტომბრელი,  
 ჩვენგან, როგორც უფროსისგან,  
 დარიგებას რომ მოელის,—  
 შთავაგონოთ—მამაცობა,  
 როგორ უნდა, ანდა რითი,  
 ჩვენზე უმცროსს უნდა მივცეთ  
 სანიმუშო მაგალითი».

# მ წ ყ ე მ ს ი

## გიორგი გიგაური

ფეხზე ტყავის ქაღალმებით,  
 ხეღში შინდის ჯოხით,  
 ჯურხამ დიდადრიანა  
 მიატოვა ქოხი.  
 მთებს ბატკნები შეეფინა,  
 გადამაზდნენ მთები,  
 აყრიადნენ ხეობები  
 საღამურის ხმებით.  
 და პატარა მწყემსის გულიც  
 იასავით ჰყვავის,  
 არ აქვს შიში ნადირისა,—  
 ნაგაზი ჰყავს ავი.  
 თვითონ ჯურხაც მამაცია  
 და ბეჯითი მუდამ,  
 მხარზე კოხტად მოუგდია  
 მეცხვარული გუდა.

და იმავე წუთს, თვითონ არც კი შეუნიშნავს, ისე ამითამაშა ცხვირწინ ანკესი, მე სახეზე ხელები ავიფარე და უკან გავიწვიე.

— მამა შინ არის? — ალერსიანად მკითხა მან, — უნდა შევთანხმდეთ — როდის წავიდეთ სათევზაოდ, კვირას...

კბილები გავაღრჭიალე და თავი გავიქნიე.  
 — აა... იგი ჯერ არ დაბრუნებულა, — თქვა მსუქან-მა კაცმა, — არა უშავს, დაველოდები. შენ ნუ მოცდები, ნუ მოცდები, ჩემო ბიჭუნი.

წიგნებს მივუჯექი. მეთევზემ, ეტყობა, იფიქრა — კარგად მოვეწყობი და ისე დაველოდებო; სკამისათვის გამოიწია და ანკესის გრძელი ბოლო უნებურად ფარდას არ წამოსდო!.. ფარდა შუაზე გაიფხრიწა.

შეწუხებული, ფარდის გასწორებას შეუდგა; ამ დროს ანკესის მეორე ბოლო საქსაფონს წამოსდო, რომელიც ხმაურით გაგორდა იატაკზე. მე წამოვხტი, რომ საქსაფონი ამელო, მაგრამ კეთილმა კაცმა ალერსიანად შემაკავა:

— ნუ მოცდები, ჩემო ბიჭუნი.  
 საქსაფონისათვის რომ დაიხარა, ანკესი ახლა კარადაზე მდგარ ბროლის ვაზს და რამდენიმე თევზს წამოსდო.

კინალამ გავგიჟდი.  
 — იქნებ, ის უკეთესი იყოს — ეს ანკესი სადმე კუთხეში მიაყულოთ?

— შენ მართალი ხარ, ჩემო ბიჭუნი, — ალერსიანად დამეთანხმა კეთილი კაცი; — კედელზე მივაყუდებ.

იგი მხნე ნაბიჯებით გაემართა კედლისაკენ; ახლა ჭალს წამოსდო ანკესი, ნათურა დაამსხვრია.

— რას სჩადიხართ?!  
 — ნუ მოცდები, ჩემო ბიჭუნი, — დაისრუტუნა მან, — ახლავე გამოცვლი ნათურას.

პან ფანფარას საწოლთან მდგარი ღამის ღამიდან ნათურა მოხსნა და სკამი დადგა ჭალის ქვეშ.

— არ არის საჭირო! — დავიყვირე. რალაც ცუდს მიგრძნობდა გული, — მე თვითონ გავუქეთებ.

— ნუ მოცდები, ჩემო ბიჭუნი, — გამიღიმა კეთილმა კაცმა.

მაიმუნის მოხერხებულობით ავიდა იგი სკამზე, დასაჯდომი ჩატეხა, შიგ ჩავარდა, მაგრამ მაშინვე წამოხტა. მხრებზე სკამის რგოლი ჰქონდა წამოცმული, მინდოდა მივხმარებოდი, მაგრამ მან პროტესტი განაცხადა:

— შენ ვაკვეთალები მოამზადე, ნუ მოცდები...

მსუქანი კაცი ხმამაღალი სრუტუნით ამოძვრა სკამის ნახვრეტებიდან და ახლა მეორე სკამი მიიღვა, ზედ აძვრა, ფეხის წვერებზე აიწია. ვერც კი მოვასწარი გონს მოსვლა, რომ იგი ჭალს ჩაეჭიდა.

(ზაბრძილება ზმამაგ ნომერში)





(ბარდაცვალების 400 წლისთავის გამო)

იტალიური კულტურის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა რენესანსის (აღორძინების) ეპოქა. (XIV-XVI საუკუნეები). ამ პერიოდში იტალიურმა ხელოვნებამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია.

რენესანსის ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია ცნობილი მოქანდაკე, არქიტექტორი, ფერმწერი და პოეტი მიქელანჯელო (სრული სახელი — მიქელანჯელო დი ლოდოვიკო დი ლეონარდო დი ბუონაროტო სიმონი). მისი შემოქმედება ადამიანური გენიის ნამდვილი ტრიუმფია. მთელი სიცოცხლის მანძილზე, ეს ღვთაებრივი ნიჭის შემოქმედი ერთგულად იცავდა რეალიზმის პრინციპებს და გასაოცარი სიცხადით განაზოგადებდა თავის მხატვრულ ჩანაფიქრს.

მიქელანჯელოს შემოქმედებაში განსაკუთრებული სიძლიერით აისახა რენესანსის ეპოქის მოწინავე, პროგრესული იდეები, ადამიანის ფიქრები და იდეალები, მისი მწუხარებისა და სიხარულის მიზეზები. მიქელანჯელომ განუმეორებელი ოსტატობით ცხადყო ადამიანის დაუცხრომელი სწრაფვა თავისუფლებისაკენ. ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრის, მონობისა და ექსპლოატაციის მხილება და გამობა მიქელანჯელოს მხატვრული გენიის დიდი მიზანი იყო.

მიქელანჯელო დაიბადა ქ. კაპრე-

ში, 1475 წ. 6 მარტს. მამის სურვილისამებრ პატარა მიქელანჯელო ლათინურ სკოლაში მიაბარეს. მას ბავშვობაშივე გაეღვიძა მხატვრული შემოქმედების ნიჭი, დაიწყო კედლებზე ნახშირით ხატვა. მალე იგი ეცნობა ანტიკური მხატვრების მდიდარ კოლექციას, გატაცებით სწავლობს იტალიურ და ანტიკურ რეალისტურ მხატვრობას. ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოამუღავნა ოსტატობა და ფენომენალური ნიჭი არქიტექტურაში და ქანდაკებაში. იგი ყოველთვის მადალი მოქალაქეობრივი შეგნებით და ენერგიის დაძაბვით ეხმარებოდა იტალიელი ხალხის ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან სოციალურ მოვლენას. მე-15 საუკუნის 90-იანი წლები იტალიაში აღინიშნა მკაცრი ბრძოლებით უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ფლორენციაში ღვივდებოდა ხალხის პროტესტი მედიჩის ტირანიის მიმართ. ამ პერიოდში მიქელანჯელო ქმნის შინაგანი მღელვარებით აღსავსე მხატვრულ ნიმუშებს, რომლებიც თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებს საკუთარი ძალის რწმენას, თავისუფლების სიყვარულს შთააგონებდა. 1494 წლის ოქტომბერში მიქელანჯელო მიემგზავრება ჩრდილოეთ იტალიაში. ვენეციაში ცოტა ხნით ყოფნის შემდეგ, 1495 წლამდე, ბოლონიაში ცხოვრობს. აქ იგი ეცნობა სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნებას, განსაკუთრებით, მხატვრობას, და კვლავ აგრძელებს ანტიკური ხელოვნების შესწავლას. 1496 წლიდან 1501 წლამდე მიქელანჯელო ცხოვრობს რომში, სადაც ანტიკური ქანდაკებიდან მიღებული ცოცხალი შთაბეჭდილების მიხედვით ქმნის გენიალურ შედეგს — „ქრისტეს დატირება“. ამ ნაწარმოებში ავტორმა განუმეორებელი ოსტატობით გადმოსცა დედის წუხილი.

1501-1504 წლებში შექმნა დავითის ქანდაკება, რომელშიც განასახიერა მამაცი და შეუღრეკელი მებრძოლის ტიტანური სახე.

იტალიის ნაციონალური დამოუკი-

დებლობის დაკარგვის წლებში, ფლორენციაში მედიჩის დესპოტური ძალაუფლების აღდგენის პერიოდში იგი ქმნიდა ლორენცოსა და ჯულიანო მედიჩის აკლდამებს. მიქელანჯელომ ამ ძეგლებში არქიტექტურის და ქანდაკების სინთეზი განახორციელა. ეს გუნდური ხელოვნების შედეგია მან ერთი მთლიანი მხატვრული სტილით გააფორმა. აკლდამებს ამშვენებს ალგორიული ფიგურები: „დილა“, „საღამო“ „ღღე“ და „ღამე“. ამ მეტად ორიგინალურ სიუჟეტში ავტორმა სიმბოლურად გაიაზრა ღრის სწრაფი სვლა, რაც ადამიანს სიკვდილთან აახლოებს. განსაკუთრებული ოსტატობით არის შესრულებული „ღღე“ და „ღამე“; მათში აღბეჭდილია ღრმა შინაგანი ტრაგიზმი და დაუძვრალი სულიერი მღელვარება.

ფეოდალური რეაქციის დღეებში მიქელანჯელო განიცდის აუტანელ ჩაგვრას, დევნას და დამცირებას. „ასეთი ჩაგვრისა და მწუხარების უამს, — წერს იგი ერთ-ერთ სონეტში, — შეფარვის გზით, დიდი სულიერი რწმენით უნდა ამომეკეთა მე ჩემი ღვთიური შემოქმედება“...

მიქელანჯელო არ უშინდება რეაქციულ ძალებს. ტირანულ სულისკვეთებას მან დაუპირისპირა ადამიანური გენიის რწმენა, სიმტკიცე და მისთვის ჩვეული ოსტატობით, ნათელმხილველი გონების თვალით ქმნის საკაცობრიო მხატვრულ შედეგებს.

მიქელანჯელოს სახელი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გასცდა იტალიის საზღვრებს, მაგრამ ხელოვნებაში მას ჰყავდა დიდი მეტოქე — 28 წლით უფროსი, სახელგანთქმული ლეონარდო და ვინჩი. ყველა დიდი ინტერესით აღევნებდა თვალს ამ ორი გენიის შემოქმედებას.

მიქელანჯელოსა და ლეონარდო და ვინჩის დაავალეს მოეხატათ ფლორენციის დიდი საბჭოს დარბაზები. მთელი იტალია დაძაბულ ინტერესს იჩენდა ამ დიდი მხატვრული ორთაბრძოლისადმი. მიქელანჯელომ თემად აიღო კაშინოსთან ბრძოლა. მან გამოხატა მდინარეში მობანავე მეო-

მიქელანჯელო





# საქკპ

მრების ნაკვთებიანი, ძლიერი, უდიდესი ენერჯით აღსავსე ფიგურები. ლეონარდო და ვინჩი მიზნად დაისახა გაეცოცხლებინა ფლორენციელებისა და მილანელების ბრძოლის ეპიზოდი. მიუხედავად იმისა, რომ მნახველთა აზრი მუდამ ორად იყოფოდა, პირველობა ვერც ერთს ვერ მიაკუთვნეს. აღსანიშნავია ისიც, რომ სამუშაო არც ერთს არ დაუმთავრებია.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მიქელანჯელო არქიტექტურაში და პოეზიაში მუშაობდა. მისი პოეტური მემკვიდრეობა ძირითადად სონეტებსა და ლირიკულ შედევრებს მოიცავს. მიქელანჯელოს პოეზიის ძირითადი მოტივია ადამიანური სევდა. მართალია, ავტორის მწუხარება ფლორენციის, საერთოდ, იტალიის დაცემით იყო გამოწვეული, მაგრამ გენიალურ შემოქმედს პირადი სევდა ზოგადსაკაცობრიო გრძნობამდე ახევს. არქიტექტურაში მიქელანჯელომ შექმნა ახალი სტილი. ამ დარგში მან ისეთივე მხატვრული მგზნებარება და დინამიურობა შემოიტანა, როგორც ფერწერაში და ქანდაკებაში. მიქელანჯელო გატაცებით მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. მან სიკვდილის წინ სინანულით თქვა: „მე ვკვდები მაშინ, როცა ჩემი შემოქმედების ანბანის შესწავლას ვიწყებდიო.“

გენიალური შემოქმედი, იტალიური რენესანსის დიდი მნათობი, კაცობრიობის აზრთამყარებელი მიქელანჯელო გარდაიცვალა 1564 წლის 18 თებერვალს რომში; დასაფლავებულია ფლორენციაში, სანტა-კროჩეს ეკლესიაში.



1898 წლის 1 მარტს, მინსკში საიდუმლოდ შეიკრიბა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა. ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, — შეექმნათ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“ (РСДРП—Российская социал-демократическая рабочая партия).

1903 წელს, პარტიის მეორე ყრილობაზე, რომლის სხდომები საიდუმლოდ მიმდინარეობდა ჯერ ბრიუსელში, შემდეგ ლონდონში, მოხდა ლენინელებისა და მარტოველების შეჯახება. ყრილობაზე ხმების უმრავლესობით გაიმარჯვეს ლენინელებმა და ამიტომ ლენინის მომხრეებს ბოლშევიკები (სიტყვიდან „Больше“, ე. ი. მეტი) უწოდეს, ხოლო მოწინააღმდეგეებს — მენშევიკები (სიტყვიდან „Меньше“, ე. ი. მცირე).

ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების დროს გაჩენილი სიტყვა „ბოლშევიკი“ გახდა ტოლფასოვანი გამოთქმა გაგებისა, — „თანმიმდევრული მარქსისტი-რევოლუციონერი, მუშათა კლასისა და კომუნისმის საქმის ბოლომდე ერთგული“.

და აი, თხუთმეტი წლის შემდეგ, 1918 წლის 8-8 მარტს, როცა პეტროგრადში შეიკრიბა პარტიის VII ყრილობა, ლენინის წინადადებით ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, — „შეიცვალოს პარტიის ძველი სახელწოდება ახლით და ეწოდოს მას „რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)“ РКП(б)—Российская Коммунистическая партия (большевиков).

გავიდა წლები და ცხოვრებამ ნათელჰყო, რომ საჭიროა შეიცვალოს პარტიის წესდება, მისი სახელწოდება. ამ მიზნით, 1925 წლის 18-31 დეკემბერს შეიკრიბა პარტიის XIV ყრილობა. ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა და გადაწყვეტილება: შეიცვალოს პარტიის ძველი სახელწოდება — „რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)“ (РКП(б)), ახლით, — „საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)“ საქ. კპ (ბ) ВКП(б) — Всесоюзная Коммунистическая партия (большевиков).

კვლავ გადის წლები და ცხოვრებამ კვლავ ახალი პრობლემები წამოჭრა, კვლავ გახდა საჭირო პარტიის წესდებაში ცვლილებების შეტანა და პარტიის სახელწოდების შეცვლა. 1952 წლის ოქტომბერში შეიკრიბა პარტიის XIX ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება: შეიცვალოს პარტიის ძველი სახელწოდება, — საქ. კპ. (ბ) (ВКП(б)) და მის ნაცვლად, ამიერიდან პარტიას ეწოდოს «საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია» სკკპ (КПСС—Коммунистическая партия Советского Союза) ვინაიდან პარტიის ორმაგი სახელწოდება („კომუნისტური“ და „ბოლშევიკური“) მიმდინარე ეტაპზე საჭირო აღარ არის. — იგი მოძველდა.


ასეთი გაორმაგებული სახელწოდება პარტიამ მაშინ მიიღო, როცა იგი მენშევიზმს ებრძოდა და გამოყოფის მიზნით დაერქვა მას „კომუნისტების პარტია ბოლშევიკებისა“. ახლა ჩვენ ქვეყანაში მენშევიკების პარტია აღარ არსებობს და აღარც პარტიის გაორებული სახელწოდება საჭირო. ასეთია ამ ქარაგმის — სკკპ-ის მოკლე ისტორია.



მოქცევით



არაჩვენალი



ზედ სასტარტო მოედანთან დაჯდა მფრინავი უკმაყოფილო სახით გაეშურა საკომანდო პუნქტისაკენ, მაგრამ იქამდე მისვლა არ დაჭირვებია — გენერალი შეეგება.

— გამარჯობათ! — გაუწოდა ხელი გენერალმა, — გამოცნაურების დრო არ არის, მაგრამ მადლობა მაინც უნდა მოგახსენოთ, ასე სწრაფად რომ შეასრულეთ ბრძანება. მდგომარეობა ასეთია...

გამოცდილი მფრინავი მიხვდა, რომ საქმე ძალზე სერიოზული იყო. უსმენდა და თან ცას გასცქეროდა; იქ, მაღლა, კუდზე კაცგამობმული პატარა „პო-2“ აღმა-დაღმა ქსელავდა ცას.

— ჭოჭონაქი გაქვთ? — იკითხა გენერალმა.

- გვაქვს.
- გვარლი?
- გვარლიც... მაგრამ მთლად მაგარი ვერ არის...
- რამდენს გაუძლებს?
- ას კილოგრამამდე.
- ე. ი. ერთ კაცს გაუძლებს. აბა

**ს**ურსანტი პირველიდ იმ დღეს ხტებოდა თვითმფრინავიდან. გავიდა კაბინის ვიწრო კარებში და ფრთაზე გადაძვრა. ქარი სახეში ეცა მობრუნდნენ გადმოშხეფილი ზეთის წვეთები ლოყაზე გადაედღაბნა. ინსტრუქტორმა ერთი კი მოაბრუნა მისკენ თავი, მერე ხელი აიჭნია და გაისმა:

— წავიდაა!  
კურსანტმა პარაშუტის სახელური მოჰქაჩა და ფრთიდან თავდაყირა გადაეშვა. წამსვე საშინელი ძალით დაჰქაჩა რაღაცამ... ნახევრადგრძობადაკარგულმა ზემოთ აიხედა, გააყრჩოლა — პარაშუტის გვირგვინი თვითმფრინავის კუდს გამოსდებოდა. თვითმფრინავი მაღლა-მაღლა მიიწევდა.

ინსტრუქტორი გაფითრებული იცქირებოდა ძირს. აეროდრომის მწვეანე ხალიჩაზე დაფრენის ამკრძალავი ნიშნები მოჩანდა.

ძირს, მიწაზე, კარგად მიხვდნენ, რა ტრაგედიაც მოხდა: კურსანტმა პარაშუტი ფრთაზევე გაშალა, თვითმფრინავმა წინ წასვლა ვერ მოასწრო და გაშლილი გვირგვინი უკანა ფრთასა და სტაბილიზატორს გამოედო.

ამუშავდა კავშირგაბმულობა. მეზობელი ნაწილის ოპერატიულმა მორიგემ სასწრაფო ტელეფონოგრაფი

# მფრინავი ნამშობი

მიიღო. რამდენიმე წუთის შემდეგ მორიგეები რადიოლოკატორების ეკრანებს ეცნენ, — სადღაც ვერტმფრენი აღმოაჩინეს, ვერტმფრენი სა-მოქალაქო ავიაციის ერთ-ერთ ნაწილს ეკუთვნოდა და მისი რადიოსადგური უცნობ ტალღაზე მუშაობდა. ვერტმფრენის „დასაჭერად“ გამანადგურებლები გაეშურნენ.

...მფრინავს ვერტმფრენი ჩვეული მარშრუტით მიჰყავდა და ძალზე გაოცდა, როდესაც ზედ ცხვირწინ გამანადგურებლები დაინახა. გამანადგურებლებმა თავზე გადაუჭროლეს — ანიშნებდნენ მოგვეყვიო.

„ალბათ, ახლაგზრდა მფრინავეები არიან და ცელქობენ“ — გაიფიქრა პილოტმა, მაგრამ ეჭვმა მაინც გაჰკენწლა.

გამანადგურებლებმა წრე მოხაზეს და უკან დაბრუნდნენ.

— ალბათ სერიოზული ამბავია — გაიფიქრა მფრინავმა და უმალ გადაწყვიტა: — გავყვები, მიწაზე გავიგებ, რაშია საქმე.

ვერტმფრენი სწრაფად დაეშვა და

შეუღეპით საქმეს. თვითმფრინავს კიდევ 30 წუთს ეყოფა საწვავი. წარმატებას ვისურვებთ.

... ინსტრუქტორი თვალს ვერ აცილებდა ბენზინის ისარს, რომელიც ნულისაკენ მიიწევდა. უცებ, მობრუნის მონოტონურ ხმაურში უცხო ბგერა შემოიჭრა. გაიხედა, — მძიმე ვერტმფრენი ქშენითა და სტვენით უახლოვდებოდა. ვერტმფრენი თვითმფრინავს თავზე მოექცა, მერე კარები გაიღო და გვერდზე გამობმული კაუჭა ჩანგალი დაეშვა ძირს.

წელამდე გადმოკიდებული კაცი აქეთ-იქით აქნევდა გაჩუტებულ ჩანგალს, — პარაშუტისათვის უნდოდა გამოედო.

— უფროსო! ცოტა კიდევ დასწიეთ, ერთი სანტიმეტრი მაინც...

— არ შემძლია! — დაიყვირა მფრინავმა. — უკანასკნელ წერტილზე „ვმუშაობ“, ერთი რომ შეგვაქანოს ქარმა — მშვიდობით!

ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა.

მარჯვენათი ჭოჭონაქი დაატრიალა, გვარლი ნელ-ნელა ეხვეოდა, იძა-



ბებოლა. მაგრამ ეს რაღაა? გვარლი უცებ დაიჭიმა, ალბათ გამოედო რამეს...

გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. პარაშუტის ბაწრები ისე აბურღულიყო, გვირგვინიც ისე გახლართულიყო ფუხელაჟში, რომ ადამიანის ხელის გარეშე მისი მოხსნა შეუძლებელი იყო. რაღაც გამოსავალი უნდა მოენახათ.

მეჭანიკოსი შეშლილივით დაცქეროდა ჰაერში მოფარფარებდა ადამიანს, მერე ხელისგული სახეზე მოისვია, გამოერკვა, მეორე პილოტს უხმო.

— რა უნდა ჰქნა, ზურაბ? მეჭანიკოსს არაფერი უპასუხნია, იგი უკუღმა ატრიალებდა ჰიკონაქის სახელოურს, სანამ ჩანგალი არ აეხსნა პარაშუტს.

— უნდა ჩამიშვა! — წყნარად უთხრა ზურაბმა ელდანაცემ პილოტს, — წელზე მივაბამ ქაშრით და ბაწრებს გადავჭრი... შენ უნდა ამოგვწიო...

— გვარლი... — ამოდერდა პილოტმა, — მხოლოდ ასი კილოგრამისათვისაა გათვალისწინებული, თანაც ძველია. დაქანებული.

— ჩამიშვი! — ბრძანების კილო-

თი თქვა მან და გვარლი წელზე გამოიბა. პილოტი ადგილიდან არ იძვროდა.

— უფროსო! — შესძახა პილოტმა, — რას სჩადის, შეაჩერეთ!

უფროს მფრინავს ეს დიალოგი ესმოდა, მაგრამ სდუმდა. ნებაართვის მიცემის უფლება არ ჰქონდა, შესაჩერებლად კი ენა არ უბრუნდებოდა. იგი ხელაველა, თვითმფრინავიდან როგორ იქნევიდა ხელს პილოტი, ხუთი თითით აჩვენებდა — საწვავი ხუთ წუთსლა მეყოფაო.

ზურაბმა კარი გამოაღო. პილოტმა ჰიკონაქს სტაცა ხელი.

ჩაშვება დაიწყო.

ცოტაც და—ზურაბი პარაშუტის ბაწრებს მიწვდა; მალა აიხედა, — „ნუთუ გაწყდება, ნუთუ ვერ გაგვიძლებს“. საოცარმა სისუსტემ დაურბინა ტანში. მალა აიხედა, მოეჩვენა — თითქოს ფოლადის ძაფები იშლებოდა. თვალები დახუჭა. მერე უმალ მოხვია ხელი კურსანტს. ჯარისკაცული, ფართე ქაშრით წელზე მიიბა. კარგად მოიკრიფა პარაშუტის ბაწრები და დანის ერთი გასმით სწრაფად გადაჭრა.

სულზე მიუსწრო! თვითმფრინავს

საწვავი გამოლეოდა და უკვე დაბლა-დაბლა ეშვებოდა.

ის-ის იყო, პილოტი ჰიკონაქის სახელოურს უნდა დასწოლოდა, რომ უფროსის ხმა მოესმა:

— არ ამოსწიო! ასევე დავუშვებ, პირდაპირ მიწაზე.

ვერტმფრენმა ტვირთი ნელა დაუშვა მიწაზე. კურსანტი საკაცეზე დააწვინეს, — სასწრაფო დახმარების მანქანა ქალაქისაკენ გაექანა.

ზურაბი გასცქეროდა მანქანას, მერე სახეზე გადაისვა ხელი, შუბლიდან ოფლი მოიწკრიტა და გაიღიმა:

— მომეცით სიგარეტი...

ოცამდე მარჯვენამ ერთდროულად გაუწოდა პაპიროსი. პაპიროსის მოსაკიდებლად რომ დაიხარა, თვალებზე ქოჩორი ჩამოეშალა... ელდანაკრავმა თმაზე იტაცა ხელი, — მთლად გათეთრებულიყო კაცი...

**ჩიკაძე:**

**მომავარი, რომელი მოიხმოდლი უნ ასათ და მსგავს შემთხვევებში.**



**ი. მომავალი:** ყველა მსოფლიო გენიოსები უმხურვალესი მამულიშვილები იყვნენ. მათ სხვებზე მეტად უყვარდათ თავისი სამშობლო, როგორც საუკეთესო შვილს მეტობით უყვარს თავისი ღირსეული დედ-მამა.

**ე. დიქსონი:** უმეტრება სამგვარია: სრულიად არაფრის არ ცოდნა, ცუდად ცოდნა იმისი, რაც ყველამ იცის, და ცოდნა არა იმისი, რისი ცოდნაცაა საჭირო.

**ნ. მორიზოვი:** წიგნი—ჯადოქარია. წიგნმა გარდაქმნა მსოფლიო. იგი ადამიანთა აზრების რუპორია. უწიგნო ქვეყანა—ველეურთა ქვეყანაა.

**სენეკა:** ბედნიერებას ადამიანი არახოდეს არ აუყვანია ისეთ სიმალღეზე, რომ მას მეგობარი არ დასჭირებოდა.

**ქ. უილსონი:** ...ხალხის ენის ნათელსა და გამჭვირვალე სიღრმეში მოჩანს არა მარტო დედა-ქვეყნის ბუნება, არამედ ხალხის სულიერი ცხოვრების სრული ისტორია... თავისი სულიერი ცხოვრების ნაყოფს ხალხი მოწიწებით ინახავს დედაენაში.

**ი. ჭავჭავაძე:** ენის მრავალსიტყვაობა ერის მრავალაზროვნებას მოასწავებს.

**ლ. გლანსი:** შეიძლება დაუთმო ძალას, მაგრამ უსიტყვოდ მხოლოდ გონებას ემორჩილებიან.

**გ. გუასტი:** მეცნიერების საზღვარი ჰორიზონტს ჰგავს: რაც უფრო ახლოს მიდიხარ მასთან, მით უფრო შორს იწევს იგი.



# სამომარ ვათვიანიკავ

## ცხოველები



### იური დუროვის ნამბოზი

სადაც არ უნდა ჩავიდე გასტრო-  
ლებზე, ჩემი სპექტაკლების შემდეგ,  
ასობით ბავშვი მეკითხება: როგორ  
ვათვინიერებ ცხოველებს?

მე და ჩემს ცხოველებს მრავალი  
პატარა მეგობარი გვყავს თბილისშიც,  
სადაც ყოველწლიურად სიამოვნებით  
ჩამოვდივარ გასტროლებზე და სუ-  
ლაც არ გამკვირვია, რომ ასეთი  
შეკითხვა აქაც არ ამცდა.

მოკლედ გიამბობთ ჩემს წინაპრებ-  
ზე, ჩემზე და ცხოველების მოთვინი-  
ერების დუროვისებურ მეთოდებზე.

ძმები ვლადიმერ და ანატოლ დუ-  
როვები, ასი წლის წინათ, 1860 წელს  
გამოვიდნენ ცირკის არენაზე. ეს ასე  
მობდა: ძმებმა ადრე დაჰკარგეს მშობ-  
ლები, მათი აღზრდა მკაცრმა ბიძამ  
იკისრა. მან ბიჭები კადეტთა კორ-  
პუსში მიაბარა, ვინძლო მათგან სამ-  
ხედრო მოსამსახურეები გამოვიდნე-  
ნო. მაგრამ ბიჭები ვერ შეეგუენ მა-  
შინდელი არმიის ჯოხის დისციპლი-  
ნას და მათი სამხედრო „კარიერა“  
იმით დამთავრდა, რომ დაუმორჩი-  
ლებლობისათვის ორივე გარიცხეს  
სასწავლებლიდან.

ძმები ბიძასთან აღარ დაბრუნებუ-  
ლან. დაეხეტებოდნენ მოსკოვის ქუ-  
ჩებში და ლუკმა-პურს ვაი-ვაგლახით  
შოულობდნენ. სად იყო და სად არა,  
ერთხელ მოხეტიალე ცირკს გადაე-  
ყარნენ. გონებამახვილი და მკვირცხ-  
ლი ბიჭები სიამოვნებით შეიკედლეს  
ცირკის მსახიობებმა. მკაცრი სკოლა  
გაიარეს მათ მოხეტიალე ცირკში. რას  
აღარ აკეთებდნენ: აკრავდნენ აფი-  
შებს, სწავლობდნენ საცირკო ხელოვ-  
ნების ყველა ჟანრს, ოინბაზებიც იყვ-  
ნენ, აკრობატებიც, ჟონგლიორებიც,  
მომთვინიერებლებიც, ეუფლებოდნენ  
მსახიობის რთულ პროფესიას.

ოცი წლის შემდეგ ძმები დუროვე-  
ბის სახელი უკვე რუსეთის გარეთაც  
კარგად იყო ცნობილი.

მაგრამ პროფესიონალური მომთვი-  
ნიერებლები დუროვები ჯერ კიდევ  
არ იყვნენ. ისინი მხოლოდ „წვრილ-  
ფეხა“ ცხოველებთან — ძაღლებთან,  
ლორებთან, ქათმებთან, ბატებთან  
„მუშაობდნენ“.

ცხოველების ნამდვილი წვრთნა  
საბჭოთა ხელისუფლების დამყარების  
შემდეგ დაიწყო ჩემმა ბაბუამ, ვლა-  
დიმერ ლეონტის ძე დუროვმა. მისი  
ძმა ანატოლი ლეონტის ძე ვერ მო-  
ესწრო რევოლუციას, 1916 წელს  
გარდაიცვალა და ახლა მის შთამო-  
მავალთაგან არენაზეა მხოლოდ შვი-  
ლი—რუსეთის სახალხო არტისტი  
ვლადიმერ დუროვი.

აღბათ გაინტერესებთ ცხოველთა  
წვრთნის როგორი მეთოდები არსე-  
ბობს.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებუ-  
ლი წესია მექანიკური წვრთნა: ადა-  
მიანი იძულებით აკეთებინებს ცხო-  
ველს სასურველ ნომრებს, მაგრამ ეს  
მეთოდი ახლა იშვიათად თუ გამოი-  
ყენება. ასე ძალზე ძნელია ცხოველი  
„მსახიობად“ გაზარდო... ცხოველი  
არენაზე დაჩაგრული, დადლილ-და-  
ქანცული და შეშინებული გამოდის,  
თვალს არ აცილებს მომთვინიერებ-  
ლის მათრახს. მისი მთელი ყურად-

ღება იქითკენაა მიმართული, რომ  
სწრაფად შეასრულოს ნომერი და  
გალიას შეაფაროს თავი.

დუროვებს სახელმძღვანელოდ  
გვაქვს წვრთნის სულ სხვაგვარი წე-  
სი. ეს წესი მეცნიერულია. რაშია  
მისი უპირატესობა?

მომთვინიერებელმა, უპირველეს ყოვ-



ლისა, დეტალურად უნდა შეისწავ-  
ლოს ცხოველი, გამოიცნოს მისი თა-  
ვისებურება, ჩვევა, თვისებები, მისი  
ქცევა თავისუფლად ყოფნისა და  
ტყვეობის დროს; ცხოველი როგორმე  
უნდა მიახვედრო, რას მოითხოვ მის-  
გან.

აი, მაგალითად, როგორ ვწვრთნი-  
დი მე ამერიკულ ენოტს. ეს მეთოდი  
ტიპურია და მისი გამოყენება სხვა  
ცხოველებზედაც შეიძლება.

სანამ ენოტის წვრთნას დავიწყებ-  
დი, წიგნებში ამოვიკითხე, რომ ამერი-  
კულ ენოტს მეორე სახელიც ჰქვია—  
„მრეცხავი დათვი“. რატომ? თურმე,



ბუნებაში, თავისუფლად ყოფნისას, იგი ჭამის წინ, საკვებს აუცილებლად წყალში გაავლებს ხოლმე. მე ვიფიქრე, თუ ეს აგრეა, მაშინ მისგან მართლაც კარგი „მრეცხავი“ უნდა დადგეს-მეთქი. ავდექი და ცხოველს ცხვირწინ წყლით სავსე ხონჩა დავუდგი, მერე ჩვარში საჭმელი შევახვიე და წყალში ჩავაგდე. ენოტმა ჩყალში ჩაგდებული საჭმელი რომ დაინახა, ჩვარს სტაცა პირი, კარგა მაგრად გაავლ-გამოავლო წყალში, გახსნა იგი და საჭმელი მიირთვა. ეს ცდა მრავალჯერ გავიმოვრე... მაგრამ ეს როდი კმაროდა, უნდა მიმეღწია რომ ცხოველს ჩვარი, ხორცის გარეშე „გაერცხა“. წყალში გადავისროლე ცარიელი ჩვარი, ენოტმა პირი დაავლო და რეცხვა დაუწყო, მე კი ხელით ვაწოდებდი საჭმელს.

ცხოველს თანდათან განუვითარდა რეფლექსი—თუ გაავლ-გამოავლებდა ჩვარს, ხორცს მიიღებდა, ამიტომ იგი სიამოვნებით ასრულებდა ამ საქმეს.

მეკითხებიან: როგორ ვაღწევ მელიისა და მამლის დამეგობრებას? არსებობს ქვეშეცნეული კანონი: როცა ცხოველი დაინახავს გაქცეულ

სულიერს, ინსტიქტურად, მასზე თავდასხმის სურვილი აღედგრის ხოლმე, და პირიქით, თუ ნადირისაკენ პირდაპირ მიდინარ, იგი, თავისი სურვილის წინააღმდეგ, იძულებულია უკან დაიხიოს. ეს, ცხადია, თქვენც ხშირად შეგიმჩნევიათ, მაგრამ, ალბათ, ამისათვის ყურადღება არ მიგიქცევიათ. გაიხსენეთ ძაღლი—თუ შეგეშინდა, გაიქეცი, ძაღლი უეჭველად უკან დაგედევნება; თუ დადგები ან თამამად გაემართები მისკენ,—რა გულადიც არ უნდა იყოს, უკან დაიხევს.

მეც ამ კანონით ვხელმძღვანელობ: ბოქინტზე ვსვამ მელიას; ხელში მამალს ვიყვან და მელიას ვუახლოვდები, ამით მელიას თავდასხმის ინსტიქტს ვუპარავ. ცხადია, ამ ცდას მრავალჯერ ვიმოვრებ. შემდეგ მელიას, და მამალს საერთო გალიაში ვათავსებ, ოღონდ გალია გატიხრულია. მელია და მამალი თვალებში შეცქერიან ერთმანეთს, მაგრამ ბადე თავდასხმის საშუალებას არ აძლევს მელიას; ამასთან, თავდასხმის ინსტიქტიც დამუხრუჭებულია. ბოლოს ისინი ერთმანეთს ეჩვევიან, ერთად ცხოვრობენ, „მუშაობენ“ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი თეფშიდანაც კი ჭამენ საჭმელს.



საერთო ცხოველური თვისებების გარდა, ყველა ცხოველს რაღაც თავისი, დამოუკიდებელი თვისებები გააჩნია, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ცხოველის მოთვიერება. ეს უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვისაც უნდა, რომ ცხოველთა მომთვიერების რთულ პროფესიას დაეუფლოს.

ნახატები ელზარდ ამბროპაძისა



**საქვალთი**

კართ ასაყარ-ჩამოსაყარი. შპინგალეტი, задвижка.




**ანჯაპა**

კართ მისაკრავი რკინის კილო. Петли для дверей, окон и т. п.

**აპუკლი**

(ამყოლები) — კარის აქეთ-იქითა ძელები, რომლებზეც ანჯამებით კარებია ჩამოკიდებული.



**რელაქსია:** გაგიფონიათ თუ არა ეს სიტყვები?

თუ გაგიფონიათ, სად გაგიფონიათ? თუ არ გაგიფონიათ, იქნებ მათი სინონიმები იცით? ველით პასუხს.





### „ლიბრა“

მაყვალა მრევლიშვილი ბავშვების საყვარელი პოეტი, მისი ლექსები მოსწონთ პატარებს და ზეპირადაც სწავლობენ.

პოეტი თავის შემოქმედებაში ერთ-ერთ პირველ ადგილს სწავლისა და შრომის თემებს უთმობს. მაგრამ მისთვის მართკოთხედიან მთავარი, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თემის მხატვრულად გადაწყვეტას. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობენ მისი ლექსები: „ბაღში“, „დიასახლისი“, „ორი დაია“, „დალის ნაქარგი“ და სხვა. ამ ლექსებში შრომის მნიშვნელობა ბავშვის აღზრდაში, გამოცემულია ლამაზი სურათებით. ამბავი, რომელიც სა-

შობებზე დაწერილი. შემეცნებითი ხასიათისაა პოეტის ლექსები, — „მოსამართი ბაყაყი“, „თვითმფრინავი“, „გემზე“. პოეტი არ ღალატობს თავის პრინციპს, — ლაკონიურობას, რაც აუცილებელი პირობაა სკოლამდელი ასაკის საბავშვო ლიტერატურისათვის.

მ. მრევლიშვილი თავისი ლექსებით დამრიგებლობას კი არ ეწევა („ბაღში“, „ვარჯიში“), იგი მოგვითხრობს მისი პერსონაჟების საქმიანობაზე, მათს თვისებებზე, ხასიათებზე და ყოველივე ამით კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ნორჩ მკითხველებზე. ამავე ხერხს მიმართავს პოეტი, როცა ბავშვის რომელიმე ცუდ ჩვევას კიცხავს. ლექსში „ხელეები არ დაიბანა“, პოეტი მისთვის ჩვეული ოსტატობით ამხელს პატარა ქეთინოს ცუდ ჩვევას. ტკბილი ფაფით მოთხუპნულმა გოგონამ დედოფალა აიყვანა, ითამაშა, მერე იქვე მიაწვინა, მიატოვა და ტკბილი ფაფით მოსვრილ თოჯინას ბუხები დაეხვია. ცხადია, პატარა მკითხველში ქეთინოს ეს საქციელი გაკიცხვას იმსახურებს.

ბუნებრივობა და სისადავე მაყვალა მრევლიშვილის ლექსის განუყრელი თანამგზავრია. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა პოეტის ლექსების ეს კრებული.

ვლ. ჯიჯიძე

### „როგორ გარდა სიხუჟა“

ამ პატარა წიგნში, რომელიც თქვენთვის დაწერა მწერალმა ზურაბ ჭუმბურიძემ, მოკლედ და

მარტივად არის განხილული რამდენიმე საენათმეცნიერო საკითხი.

როგორც აღამიანებს, ასევე ყოველ ქვეყანას, ქალაქს, სოფელს, მთას, მდინარეს, ხევს, კუნძულს თუ ტბას აქვს საკუთარი სახელი. ამ სახელთა წარმოშობის შემსწავლელ დარგს — ტოპონიმოლოგიას ეწოდება.

ყველამ კარგად იცით თბილისის წარმოშობის ლეგენდა. — როგორ და-

რქულში იგი ოდნავ შეცვლილია და, გამოითქმის, — „ყალა“. სწორედ ეს სიტყვა გვაქვს „ნარიყალაში“, მისი პირველი ნაწილი ნარი (ნარინ) კი სახელია. ამრიგად, „ნარიყალა“ ნიშნავს „ნარის ციხეს“.

ეს წიგნი უსათუოდ ადგიძრავთ ინტერესს, — უფრო ღრმად შეისწავლოთ აქ განხილული და სხვა ამგვარი საკითხები.

ჯ. ნიჭაბაძე

### „მამარევი მალე ჩამოვა“

პატა პატაშვილი ქვიხეთში, სანატორიუმში ისვენებს. თანატოლებთან ერთად დადის მტკვარზე საბანაოდ, თამაშობს ბურთს, ერთობა...

მაგრამ პატას რაღაც აწუხებს. ხშირად შეიპყრობს სურვილი: წავიდეს სანატორიუმის უკან დაბურთულ ტევრში, ჩამოჯდეს წყაროსთან ხავსიან ლოდზე და დიდხანს იფიქროს. საფიქრალი კი ძალიან ბევრი აქვს.


სანატორიუმის ექიმი ამჩნევს ყმაწვილის ხშირ უგუნებობას, ერთ დღეს ოთახში შემოპყვება, სთხოვს — მითხარი, რაშია საქმე, — შეიძლება რამეში დაგეხმარო.

„მინდოდა ვინმესთვის მეამბნა რაც მაწუხებდა, — გვიყვება თვითონ პატა, — იქნებ ცოტაოდენი შევება მაინც მეგარძნო.“

კარადა გამოვადე და პიჯაკის ჯიბიდან სურათი ამოვიდე, მერე საწოლზე ჩამოვჯექი და სურათი ექიმს გავუწოდე.

— აი, ამ ბიჭის შესახებ მინდა ვიამბოთ, დეიდა მარო“.

ასე იწყება მეტად სა-



ერქვა ჩვენს დედაქალაქს თბილისი. მაგრამ ყველამ როდი იცის, თუ როგორ წარმოიქმნა ისეთი სახელები, როგორცაა: მანგლისი, მეჯვრისხევი, ნიკორწმინდა, ოჩამჩირე, სოხუმი, წყალტუბო და ბევრი სხვა. მაგალითისათვის ავიღოთ. — „ნარიყალა“. აი, როგორ განგვიმარტავს ავტორი მისი სახელის წარმოშობის ისტორიას: „ნარიყალა“ ჰქვია თბილისის სამხრეთით, ბოტანიკური ბაღისა და კომკავშირის ხეივნის გასწვრივ გაწოლილი დიდი ციხის ნანგრევებს. კაცს ეგონება, რომ ეს სახელი მიღებულია რიყისაგან, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. „ყალა“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს „ციხეს“. სპარსულსა და თუ-



ფუძვლად უდევს ამ ლექსებს, ისე ცოცხლად და კარგად არის გაშუქებული, რომ ბავშვს სურვილი აღუძვრება მიბაძოს ლექსის პერსონაჟს. ღრმა პედაგოგიური და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვთ მაყვალა მრევლიშვილის ლექსებს, რომლებიც სათამაშოებზე და სხვადასხვა ბავშვურ თამა-



## გაგარი ნემსი

შეიძლება თუ არა წვრილი ნემსით გახვრიტო სამკაპიკიანი? ეს თითქოს შეუძლებელია, სინამდვილეში კი ძალიან ადვილი საქმეა.

საცობში ჩაარტყე ნემსი ისე, რომ მისი წვერი ოდნავ გამოჩნდეს, ნემსის თავი გადაქლიბე და გატეხე. დადევი საცობი სამკაპიკიანზე (როგორც ნახატზეა ნაჩვენები) და ღონიერად, მაგრამ პირდაპირ დაჰკარი ჩაქუჩი საცობს — ნემსი გახვრიტს სამკაპიკიანს, ვინაიდან ფოლადი უფრო მაგარია, ვიდრე ის შენაღობი, რომლისგანაც გაკეთებულია სამკაპიკიანი, საცობი კი მოღუზვის საშუალებას არ მისცემს ნემსს.

## ორშაუკიანი და ქალაქის რგოლი

ცარიელი ბოთლის თავზე ვერტიკალურად დადე 8-10 სმ დიამეტრის ქალაქის რგოლი, ამ რგოლს ზევიდან დაადე ორშაუკიანი ისე, რომ ის ზუსტად ბოთლის თავის პირდაპირ იყოს.


აილე ჯობი ან სახაზავი, გაყავი რგოლში და სწრაფად შემოჰკარი ქალაქის რგოლს პორიზონტალური მიმართულებით: რგოლი განზე გადაეარდება, ორშაუკიანი კი ბოთლში ჩავარდება. ეს ოინი დამყარებულია ინერციის კანონზე.

## გამგონი და ჯიუტი კვერცხი

ნემსით გახვრიტე კვერცხი, გულბ და ცილა გადმოაქციე. ნატუქი კარგად გამოაშრე, შემდეგ შიგ ჩაყარე იმდენი წმინდა სილა, რომ ერთ მეოთხედზე აავსოს კვერცხი, ჭუჭრუტანა ამოავსე თაბაშირით, ან თეთრათი ისე, რომ ჭუჭრუტანა არ ჩანდეს. ეს იქნება გამგონი კვერცხი: რა მდგომარეობაშიც დააყენებ, იმ მდგომარეობაში დარჩება. ამისათვის ის ოდნავ უნდა შეანჯორიო, თანაც ისე უნდა გეჭიროს, როგორც გსურს ქვესადგომზე მისი დადება: სილის მარცვლები გადაინაცვლებს და კვერცხი მდგრად წონასწორობაში იქნება ქვესადგომზე.

ჯიუტი კვერცხის მიღება თუ გსურს, ნატუქში სილის ნაცვლად უნდა ჩაყარო ძალიან წვრილი საფანტი და ლუქის ძალიან პატარა ნატეხები. შემდეგ პირდაპირ დააყენე ისე, რომ თავი ძირს ექნეს, და გააცხელე: ლუქი გალღვება და, როდესაც გაცივდება, საფანტს მჭიდროდ შეკრავს.


რამდენიც არ უნდა ეცადო, ამ კვერცხს ვერ წააქციე; რამდენჯერაც წაჰკრავ ხელს. იმდენჯერ წამოდგება.



ინტერესო ამბავი თბილისის ერთ-ერთი სკოლა-ინტერნატის მოსწავლე ყმაწვილებზე. ისინი საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან არიან აქ მოსულნი. თვითეულ მათგანს საკუთარი ჩვევები და ხასიათი მოჰყოლია. თანდათანობით ღვივდება და იზრდება ურთიერთისადმი მეგობრული სიყვარული. მერე რა, თუ ხანდახან წაქინკლავდებიან! სამაგიეროდ, როცა საჭიროა, ყველანი ერთ მუშტად არიან შეკრულნი. ამ მეგობრულ კოლექტივში სწორ გზას პოულობს ის ორი ბავშვიც, პატარაობისას არასწორად რომ აღზრდილან. სკოლა-ინტერნატში შექმნილი მეგობრის, აღმზრდელი-პედაგოგების მზუნვამ და სიყვარულმა აპოვნინა ნამდვილი ბედნიერება პატარა ბიჭუნას, რომელიც თავის გულში დიდ ტკივილსა და სევდას მარხავდა. (სწორედ ამ ბიჭის სურათი გაუწოდა პაატამ სანატორიუმის ექიმს).

ახალგაზრდა მწერლების ანზორ აბულაშვილისა და კარლო კობერიძის მოთხრობა „მამაჩემი მალე ჩამოვა“ კარგი საკითხავი წიგნია.

ს. გიჩიელი







# უჯაჯუკი

პატარა შორენა გახულ ზაფხულს  
გვეტბურა ჭაქაქდან. მარგელ  
დღებზე ახივლიდა, ცნობდა ვაზა-  
შობლი ხაზღანას, ექისანას...

შორენას ცნობილი ღვინა  
აგებებულა: ის ოცნება ტანში  
წახვდა იყო. ყოველდღე შეხვეწი-  
ბოდა-წახივანყო. — კარგი-ნეთი; —  
დაცინებდა ბოლოს და ირავებდ  
ჩემი ხილვის ტყეში შეგრავთ თა-  
ვი.

ტყის პირას მშვენიერ მარწყვ-  
ივანს წაყვებოდა.

— მიდი, ჯერ უვაგილით დაე-  
კრებოდი... მიიბრა შორენამ.

— კარგი. შენ უვაგილითზე წა-  
დი, მე კი მარწყვს დაეკრებოდი. —  
მშვენიერ.

— ახე იყოს, — თქვა შორენამ  
და ბუჩქებში გაეცქირა.

მარწყვის კრებოდა გავრითე-  
რის მიმოვიხიდე; — შორენა არხად  
არ ჩანდა.

— შორენა! — გაეძახე.  
არ გამოხატა სურვილი.

სადღაც  
ჩიტმა ჩაიხიკოკო მხოლოდ.

კალათიანად გავიქვიე იქითკენ,  
შორენა რომ წავიდა წევდა.

— მარე, შორენაა!

წივამ დაუბრუნა და ტყეში იღურ-  
ადად წაჩრტა: უშუალოდ...

უშუალოდ... მომჩვენა, თითქმის ტყეში  
შორენას უხმობდა.

გულში შიშის გამკრია... ხიზანობის  
გუბრად და კვლავ გაეძახე:

# სროგორ გავასტ არი გავფხული

ბორჯომი, კობულეთი, ბათუმი, მახარაძე, სამტრედიო,  
წყნარკეთი, წყალტუბო, ჭყალიანი, თბილისი, — აი ის  
გრძელი და საინტერესო გზა, რომელიც ამ ზღვარს გა-  
ვიყო; მხელია ყველაფრის აფერა, მაგრამ უფრო მზე-  
და, მოკლე მანძილზე არ ვთქვა იმის შესახებ, რაც მოგზა-  
ურობისას ვნახე და ვაგრძელებ.

ბორჯომის ბუჩქნა მალაჩა ირავლე მთებია,  
მომხე — ტყეში, მუხის შუა კი მოვლენიანა დედა-  
მტკვარი მოვლენიანა და მოხეტიალეთს, წახვდ დღეებზე  
მეც მისი ტალღები? იქნებ ისინი აღტყვებული არიან  
ან სილამაზით? ან იქნებ ნაფლავი ზღვარული გვა-  
ბოძებენ იმ ქვეყნის ამბავს, სადაღაც მას ბევრი ცოცხ-  
ლოდ გაბრუნდნენ? ვინ იცის!

ხოლო იქ, სადაც ვაწოლიან მთების ჩრდილები, სა-  
დაც მუხისი ემუხიან ჩანჩქერები, სადაც უფრო მზა-  
რად ჩურჩულენ მტკვარი, სადაც ამოსქეფენ მინე-  
რალური წყაროები, — ვაგრძელებოდა ქალკი ბორჯომი.

ყოველდღე დავდივარ პარკში და ვგებიალბ; ვგებია-  
ლბ, სანამ დავიღვლებოდი.

აქ წვედითზე მუსკის ინიანიის „სისხლი და ტვიშა“;  
დარეხანა მატელირების უბრალოდ ახადვილი სისხლი,  
რომელიც ქვეშის მხროლო მდღარობა ვასართობდა ღე-  
ბას.

ვიყავი მზარეთმოდინების მუზეუმში. დავაფლავ-  
ეი სოფლები — ლოკანი და ფაფა.

ერთი თვე მიიწურა. ახლა კი — შავი ზღვისაღენ..

მობუღეთის პლაჟი. მზურვალ მზე და ზღვა, — ხან  
მღვალავი და ღაუაყებელი, ხან კი მშვილი, მოვლენიანი.

შუის ბილიკი ვადაქვრია ზღვას. შუის ჩასყლის მისი  
დისკო იზრდება, წითლდება და ნელ-ნელა იძირება.

ქობულეთიდან ბათუმამდე გვითრე ვიგებოდი. ბათუ-

— შორენაა, მარე!

უცებ, ხუდი ახლოდან მომხმანა;

— აჰა ვარ, ჩქარა!

იმ ხმისკენ გავექნა.

მარეწინა მდელიწე, თავადლოთ

ბელში, იღვა შორენა. იღვა და

თვალეზაფარითებული ვასცქრო-

და ხივრცეში. რომ დამინახა, ხან-

ვენიებული თითხი რაღაც მანშნა.

უნებლიედ მივხიდე.

ცის დასავალიან მშენ ღარუბ-

მ ი მ შ დ ი

რუბრა მამთარაბი

თბილისის 57-ე ს.ს. სკოლა  
VIII კლასის მონაწილე



მის ნავთსაყდელში იღვა დიდი საოყენო გემი — „აღ-  
მირალი ნახშირი“. იგი ორჯერ იყო ჩაძირული, ორჯერ  
მოიხალხლა ზღვის ფსკერი, მაგრამ ირთველები ვადაირო-  
ნეს.

დავითაფლავე ბათუმის ღირსშესანიშნო ბანია. ვისე-  
რინე მის ფართო ქუჩებში.

ბათუმთან, მახარაძის ვაკეში, სამტრედიოში ვაგვე-  
გაფერა მარეწინა მარეწინა მარეწინა მარეწინა მარეწინა  
სოფელი მუხისკენ. შემაძრწუნა სოფლის ისტორიამ —  
აქ ზღვებდა სამარტყვინო ვაჭრობა — თურქ ვაჭრებს  
ჩაღის ფსად მიყვადით ქართული ქალკვები.

მანქანა ჩაის პანტატეებს შორის მიიკვლევს ზღვას.  
ფერებზედღე დღევს „მუხანე ოქრო“ და მალღარის  
ქალკვები.

სამტრედიოში ვაკლით ჩავიქე ქალკვებში  
შეღვდა — წყალტუბოსა და ქუთაისში. ვაკლით აქიე-  
ლის ვიჩაზე, მაგარტის ტაძრის ნანგრევების სანახაველ  
ქართული კულტურის ეს თემატიკა მგელი, რომელიც  
1003 წელს ააშენა მეფე მაგარტმა, 1689 წელს ახალიცი-  
დან შემოქროლი თურქებს ვაუხადღვრებოდა.

ვანებ იხსენებოდა ქუთაისში. მომიბოლა-აქაის „სა-  
ვახლო და სამაშობო“ ქუთაისში.

მოგზაურობა დასასრულს ვაკვლავდება. უკვე თბილი  
სისხლენ მივემუხავრებოდი. მტკვარი ვიღვრებ, მარ კიდე  
იხვე ნელა. არ ჩანს ზღვა სავაყარო ვეცტაცხველი; სი-  
ბნელეს მკვერის პრაიქტორის მუქი ვანაიბული ვა-  
ჭარი, რომელიც ცას და მარეწინა შუა დაკვდებოდა  
თენდება.

მარეწინა თბილისში შეღის.

„გამარტობა, ჩემი თბილის ქალკვი“

მალხაზ მანგინიაშვილი,  
თბილისის 55-ე ს.ს. სკოლის VI კლასის მონაწილე.

დღე მონაგრებოდა. ღრუბლებს ურ-  
ბულს მიყვანილობა მქონდა და

სისხლისფრად იყო შეღებოლი, მის

უკან მზის ორი წარბილი შადრეობდა

მარის რქებივით ამოშფერდებოდა...

ახივი სანახაობა მეც ვაგრძელებ

ხუდი მალე ღრუბელი რუბი ფე-  
რისა გახდა, ნაფლავი-ნაფლავითებდა

დაიფრცა...

მოსაღმრებდა. მე და შორენამ


ხელი ბელს ჩაკვადეთ და შინისკენ  
მივკურბებოდი.

ბანანა ზაფხობინი  
მეტრის ჩაბინის ბეჭის ს.ს.  
სკოლის VIII კლასის მონაწილე.



აბაშკარ დილი  
ამთხვეული ანთიმი,  
თბილისის 77-ე ს.ს. სკოლის  
IV კლასის მონაწილე.

ოიბსკომბა  
ირაკლი აბაშკარაშვილი,  
თბილისის 116-ე ს.ს. სკოლის  
VII კლასის მონაწილე.





«მთვარის

სონატა»

ერთ დღეს ბეთჰოვენი გვიან ბრუნდებოდა შინ. წყნარი, თბილი ღამე იყო. როცა თავის სახლს მიუახლოვდა, მეზობელი სახლიდან მუსიკის ხმა მოესმა. ვიღაცა დიდი გრძნობით უკრავდა მის უკანასკნელ მელოდიას. ბეთჰოვენი გაჩერდა და ყური მიუგდო. როცა უკანასკნელი აკორდი მიწყდა, იგი იმ სახლში შევიდა, რათა გაეგო, ვინ უკრავდა ასე კარგად მის ნაწარმოებს.

ეს იყო პატარა, ღარიბად მოწყობილი ოთახი, რომელსაც სუსტად ანათებდა სანთელი. მაგიდასთან იჯდა ახალგაზრდა კაცი და ფეხსაცმლის ლანჩას აკერებდა. კუთხეში ფორტეპიანოს მიჯდომოდა გოგონა; მას წინ ნოტები არ ეწყო. როდესაც დიდი კომპოზიტორი

ოთახში შევიდა, — გოგონა ფეხზე წამოდგა. ბეთჰოვენმა შენიშნა, რომ გოგონა უსინათლო იყო.

— როგორ უკრავთ ასე კარგად?! — ჰკითხა ბეთჰოვენმა.

— მე სმენით ვუკრავ, — უპასუხა უსინათლომ.

— მე შემიძლია ყველაფრის დაკვრა, რასაც მეზობელ სახლში დაუკრავენ.

— მე თქვენ რაღაცას დაგიკრავთ, — უთხრა მას ბეთჰოვენმა და ფორტეპიანოს მიუჯდა. სანთელი ჩაქრა... სავსე მთვარე ვერცხლისფერ სხივებს ჰფენდა პატარა ოთახს... ბეთჰოვენი გატაცებით უკრავდა, ჟღერდა საოცარი ხმები.

ასე შეიქმნა ბეთჰოვენის შესანიშნავი ნაწარმოები, უკვდავი „მთვარის სონატა“

შუბერტის

«ნანა»

გამოჩენილი ავსტრიელი კომპოზიტორი ფრანც შუბერტი ერთ დღეს ვენის რესტორანში შევიდა; იგი ძალზე მშვიერი იყო, მაგრამ ჯიბეში ერთი გროშიც არა ჰქონდა, უფულოდ კი რესტორნის პატრონმა არა და არ მისცა საჭმელი. შუბერტმა გაზეთში თვალი მოჰკრა ლექსს, რომლის მიხედვითაც იქვე, ფანჯარასთან, რამდენიმე წუთში დაწერა მუსიკა. შუ-

ბერტმა ნოტები რესტორნის პატრონს მისცა. მან კომპოზიტორს მიუტანა შემწვარი ხბოს ხორცი კარტოფილით. ეს შუბერტის საყვარელი საჭმელი იყო...

შუბერტის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ ეს მუსიკალური ნაწარმოები, პარიზში, აუქციონზე, 40.000 ფრანკად გაიყიდა. ეს იყო შუბერტის ცნობილი „ნანა“.

გერმანულიდან თარგმნა ლუიზა მებრეველმა

მხედართმთავარი



ყველაზე ახალგაზრდა მხედართმთავარი იყო 3 თვის ჰერცოგი ჰოდვარდ III ბრაზანტიელი (ბელგია). იგი 90 დღისა იყო, როცა თავისი ნამისაგან მემკვიდრეობით მიიღო ტახტი და განდა მხედართმთავარი.

დაიწყო ომი. ჰერცოგს არმია ბრძოლაში უნდა წაეყვანა. იგი ჩააწვინეს აკვანში და გაიყვანეს ბრძოლის ველზე. ამრიგად, ჰერცოგი პირადად ესწრებოდა ბრძოლას; გამარჯვება, რომელიც იმ დღეს იქნა მოპოვებული, მას მიაწერეს. საინტერესო ის არის, რომ სწორედ ამ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების გამო ატარებდა ჰერცოგი სახელწოდებას: «მამაცი».

საოცარი დამთხვევა

ერთხელ, მოსკოველ ჰიონერთა საქალაქო სახლში ჩატარდა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ: ბოტვინიკი, სმისლოვი, ფაინი და ბრონშტეინი. ისინი იყვნენ ცნობილი დიდოსტატების თანამოგვარენი და შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ... მეხუთე თანრიგის მისაღებად.

ვაი ასეთ გამართლებას

ცნობილი გერმანელი მოჭადრაკე ზ. ტარაში ჰამბურგის 1910 წლის საერთაშორისო ტურნირში ინგლისელი მოჭადრაკის ფ. იატსის მონაწილეობის სასტიკი წინააღმდეგი იყო.—იატსი ერთობ სუსტი მოჭადრაკეა, იგი არ არის ამ ტურნირში თამაშის ღირსი, — ამტკიცებდა ტარაში. მიუხედავად ამისა, იატსს მაინც მისცეს ტურნირში თამაშის ნება.

ტარაშის აზრი გამართლდა: იატსმა ტურნირი სამარცხვინო შედეგით დაამთავრა, — მოიგო ერთადერთი პარტია და ბოლო ადგილზე გამოვიდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ერთადერთი პარტია მან სწორედ ტარაშს მოუგო.



**თადარიგინი მცენარე**

კენიასა და ტანგანიკაში ხარობს ერთგვარი ველური მცენარე, რომელიც თავის უზარმაზარ ტუბერებში წყლის მარაგს აგროვებს. ტუბერი თანდათან მატულობს ზომაში და მისი დიამეტრი 120 სანტიმეტრს აღწევს. ამ დროს იგი კაცს მძიხარე მარტორქას მოაგონებს. გვალვიანობისას მცენარე მომჭირნედ ხარჯავს წყლის მარაგს.

„სამა“

ასე ეწოდება პრეპარატს, რომელიც ამას წინათ გამოცადეს აშშ-ში. ამ პრეპარატმა გასაჭირისაგან უნდა იხსნას ფოსტალიონები, რომლებიც შიშით კანკალებენ ხოლმე, როცა ისეთ სახლებში მიაქვთ საფოსტო გზავნილობები, სადაც ავი ძალლი ჰყავთ. ქიმიკოსები იმედოვნებენ, რომ, როგორც კი დაყნოსავს ძალლი ფოსტალიონის შარვალს, რომელსაც „სდექ“ ექნება წაცხებული, მაშინვე ცხვირზე თათს მიიღებს და კულდამოდებული გატრიალდება.


**პარიზი სუნთკვა ზირს**

პარიზის ჰაერი ძალზე გაჭუჭყყინებულია ავტომანქანების მიერ გამობოლქვილი გაზებით. ხშირია შემთხვევა, როცა ზოგიერთ ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებლები მხუთავი აირით იწამლებიან.

ჰაერის გაჭუჭყიანება სასუნთქი ორგანოების სხვადასხვა სახის დაავადებას იწვევს. პარიზში, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, ამ დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა 20 პროცენტით გაიზარდა.

**ულვაზებით აზინაზა**

საფრანგეთის კრივის ფედერაციამ აკრძალა შეჯიბრების დროს რინგზე



ულვაზებიანი მოკრივეების გამოსვლა. სპეციალისტების აზრით, ბევრი მოკრივე ულვაზებს მეტოქის შესაშინებლად იყენებს.

**საილო — კინომაჟურაგალი**

უგანდის ეროვნულ ნაკრძალში, ღია ცის ქვეშ, უჩვენებდნენ დოკუმენტურ ფილმს აფრიკის ცხოველთა სამყაროზე. აი, სურათი დამთავრდა, დაბნელდა ეკრანი, სადაც წუთის წინ სპილოები მიაბოტებდნენ, მაყურებელიც წამოიშალა. უეცრად, გაკვირვებისაგან ყველამ პირი დააღო: ბოლო რიგს უკან სპილო იდგა. თურმე, იგი მახლობელ ტყიდან მოსულიყო კინოსურათის საყურებლად. სურათის დამთავრებამდე წყნარად იდგა, მერე კი ისევ ტყეს მისცა თავი. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა იმავე ფილმს უჩვენებდნენ, სპილო კვლავ მოვიდა მის საყურებლად.

**ჯაზის ან იყრიდნენ**

ძველ ეგვიპტელებს შურისძიების მეტად თავისებური ხერხი ჰქონდათ: ღეხსაცმლის ლანჩებზე ხატავ-



დნენ მათთვის საძულველი კაცის პორტრეტს, და ამგვარად, გამუდმებით თელავდნენ მას.

**სარისკო გასაირნება**

ვისაც უნახავს კინოკომედია „ჭრელი რეისი“, უთუოდ ესსომება შიმპანზე, სახელად პირატი. ეს „მსახიობი“ კიევის ზოოპარკში ცხოვრობს. იგი გულლია ხასიათისა და ზამთარში, როცა ზოოპარკი დამთვალეირებლებისათვის დაკეტილია, ძალიან მოიწყენს ხოლმე.

ერთ საღამოს, მომვლელ ქალს გასაღებების ასხმულა პირატის გალისთან, ვოლიერში დარჩა. პირატი



ეცა ასხმულას, მონახა გალის გასაღები და გააღო დაკეტილი კარი. შემდეგ გადაწყვიტა — ესარგებლა ამ შემთხვევით და სუფთა ჰაერზე გაესეირნა; თან, თავისი მეგობარი ჩელიტაც აიყოლია.


ზამთარი იყო და გალის 30 გრადუსი სიცხის შემდეგ მაიმუნები თოვლში მოხვდნენ. ჩელიტას შეეშინდა და გაჩერდა. ცნობისმოყვარე პირატი კი ისევ მხნედ მიაბიჯებდა და თოვლზე ღრმა კვალს სტოვებდა.

ტროპიკული ცხოველებისათვის გაციება ძალიან საშიშია; ზამთრობით, ზოგიერთ ზოოპარკში, შიმპანზე სასეირნოდ გამოჰყავთ, მაგრამ ამ დროს მას თბილად აცმევენ. ჩვენი მოსეირნენი კი სრულიად „შიშვლები“ იყვნენ.

ჩელიტა ერთმა ელექტრომონტორმა იპოვნა და დამფრთხალი, გათოშილი მაიმუნი პალტოს ქვეშ შეიფარა. პირატმა კი პირდაპირ გაუჭირა საქმე მადევრებს. მისი დაჭერა მხოლოდ ზოოპარკის მომვინიერებელმა შეძლო. პირატი სიხარულით აღარ იყო, რომ ამდენი კაცის ყურადღება მიიქცია: ფართხალებდა, იცინოდა, ხმამალა ყვიროდა... ეტყობა, ყოფილი კინომსახიობი მიეჩვია პოპულარობას.

ასე დამთავრდა პირატისა და ჩელიტას სარისკო გასეირნება.





# თერმოსი- მაცივარი

თუ გინდა, რომ სადილის გაკეთებას ცოტა დრო მოანდომო, გააკეთე ისეთი თერმოსი, როგორიც ნახატზეა ნაჩვენები.




თერმოსისა და რეზერვუარის ზომა დამოკიდებულია იმ ქვების სიდიდეზე, რომელშიც სადილს აკეთებ. რეზერვუარი ისეთი ზომისა უნდა იყოს, რომ თავისუფლად შეიძლებოდეს შიგ ქვების შედგმა და გამოღება.

თერმოსის ყუთი გააკეთე 3-მილიმეტრიანი ფანერისაგან (ნახატზე ჩანს, თუ როგორი უნდა იყოს ეს ყუთი), შიგნითა კედლებზე დააწებე ჩვეულებრივი მუშაშაბა; შემდეგ აიღე ქეჩის იმდენი ფენა, რომ ყველა ერთად 4 სმ სისქისა იყოს. ფენებს შორის დაატანე დოლბანდის ნაჭრები და დაალიანდაგე. მიიღებ პაწაწინა ლეიბებს (ნახატზე ნაჩვენებია, როგორ უნდა განალაგო ისინი ყუთში). ფანერის კედლებს ლეიბები რამდენიმე ადგილას მიაკერე ხამი ძაფით. საკეტმა, რომელიც ნაჩვენებია მომ-

დევნო ნახატზე, თერმოსის თავსახურს იხე მჭიდროდ უნდა მიაგმანოს გადასახსნელ კედელს, რომ ჰაერი არც შედიოდეს და არც გამოდიოდეს. საკეტი კეთდება თუნუქისა და 2,5-3 მმ სისქის ფოლადის მავთულისაგან.

როცა დარწმუნდები, რომ ყველაფერი რიგზეა, ე. ი. კედლების კუთხეები მჭიდროდაა ერთმანეთზე მიდგმული და საკეტიც საიმედოა, თერმოსი შეღებე თეთრი მინანქრის საღებავით.

წვნიანს რომ აადუღებ, ქვაბი თერმოსში შედგი. ორი საათის მერე უკვე შეგიძლია ისადილო. თუ არ გცალია, წვნიანი „მოიცდის“ — 6-8 საათის შემდეგაც ცხელი იქნება. მეორე თავი კერძისათვის სითბოს მარაგი უფრო მეტია საჭირო. ამიტომ, რეზერვუარის ფსკერზე დადგი წმინდა და გაცხელებული სილით სავსე ბრტყელი ლითონის კოლოფი. თუ საჭმლის გაცივება გინდა, შეგიძლია თერმოსი მაცივრად გადააქციო; ამისათვის საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: ქვიშა შეცვალე უინულით.



გარეკანზე: ილუსტრაცია მოთხრობისა—„მინი დაბადების დღე“, მხატვარი რევაზ ცუცქერიძე.


რედაქტორი მუხრან მახავარიანი  
 სარედაქციო კოლეგია: შილიპე ბერიძე, როსტომ ელანიძე, იაგო ვარლამიანი, რევაზ ინანიშვილი, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლინაშვილი, ზურაბ ლეშაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, ბაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), გიორგი შატბერაშვილი

„ПIONEER“, На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плетанова, 91.  
 გამომცემლობა „ნაქაღული“. უფ. 04070 ტირ. 35.000; პირ. ფორ. რაოდ. 41/2, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დისკ. 30/1-64 წ.  
 სტამბის უფკ. 2876. გამომც. უფკ. 10. საქ. კ. ცქ-ის გამომცემლობის სტამბა № 1  
 რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფაზი  
20  
კაპიკი



# პირველი სტეპი



მაგიდაზე ერთ მწკრივად აწყვია ექვსი ჭიქა; სამ ჭიქაში წყალია, სამი ჭიქა კი ცარიელია. როგორ მოვახერხოთ, რომ წყალი პირველ ჭიქაში იყოს, მეორეში — არა, მესამეში იყოს, მეოთხეში — არა, მეხუთეში იყოს, მეექვსეში — არა (ხელი მხოლოდ ერთ ჭიქას უნდა მოჰკიდო).

ურმის თვალს (ბორბალს) აქვს 10 მანა. არ დაითვალო და ისე თქვი, რამდენი შუალედი (მანებს შორის) აქვს ბორბალს?

ვლადიმერ გვიშიანი,  
კლოუნი-ილუზიონისტი.



## პირველი და მეორე

გინდ დაიჭერეთ, გინდ არა, — ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდა ორი უცნაური ტყუპისცალი: პირველი და მეორე. აი, რატომ იყვნენ ისინი უცნაურნი: პირველს არ შეეძლო სიმართლის თქმა ორშაბათობით, სამშაბათობით და ოთხშაბათობით, სხვა დღეებში იგი სულ სიმართლეს ლაპარაკობდა. მეორე — სულ ტყუილებს ლაპარაკობდა სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით, ხოლო სხვა დღეებში ტყუილს ვერ ათქმევინებდა.

ერთ დღეს ერთ მათგანს სახელი ჰკითხეს.

- პირველი! — მიუგო მან.
- რა დღეა დღეს?
- გუშინ კვირა იყო.
- ხვალ კი ხუთშაბათი იქნება.
- დაუმატა მისმა ძმამ.
- კი, მაგრამ... შენ გჯერა, რომ სიმართლეს ამბობ?
- მე სიმართლეს მხოლოდ ოთხშაბათობით ვამბობ.

ამ დიალოგის მიხედვით შენ შეგიძლია დაადგინო: ტყუპი ძმებიდან რომელი იყო პირველი და რომელი — მეორე; მიხვდები იმასაც, რა დღეს შედგა ეს საუბარი.

## მინ რა მოხდება

გაბრიაძე, შოთაძე, ივანიძე და მიქაძე 18-სართულიანი სახლის სხვადასხვა სართულზე ცხოვრობენ. ერთი მათგანი ბულატერია, მეორე — არქიტექტორი, მესამე — კბილის ექიმი, მეოთხე იურისტი. გაბრიაძე ცხოვრობს უფრო მაღლა, ვიდრე ივანიძე, მაგრამ უფრო დაბლა, ვიდრე მიქაძე. შოთაძე კბილის ექიმზე დაბლა ცხოვრობს. მიქაძესთან რომ ახვიდე — ხუთჯერ მეტი სართული უნდა აიარო, ვიდრე იურისტთან ასელამდე აივლი. არქიტექტორი საცხოვრებლად რომ ავიდეს ორ სართულით მაღლა, ვიდრე ახლა ცხოვრობს, იგი თანაბრად იქნება დაშორებული კბილის ექიმისა და ბულატერის საცხოვრებელი ბინებიდან, ხოლო ოთხი სართულით ქვემოთ რომ ჩავიდეს თანაბრად იქნება დაშორებული იურისტისა და კბილის ექიმის ბინებიდან.

რა მოხელეა თვითეული მათგანი? ვინ რომელ სართულზე ცხოვრობს?

## მეგობრების არჩევა

ოდესღაც, ერთ სამეფოს მართავდა მოხუცი მეფე, რომელსაც არ ჰყავდა მემკვიდრე. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, იხმო მეფემ ოთხი ჭაბუკი, რომელთაგანაც მემკვიდრე უნდა შეერჩია.

აუხვიეს თვალები ჭაბუკებს და დასხეს მეფის ირგვლივ.






მეფემ თქვა: „თვითეულ თქვენგანს შუბლზე თითს მივადებ. შუბლზე დარჩება შავი ან თეთრი ანაბეჭდი. შემდეგ ავიხსნით თვალებს, ის, ვინც დაინახავს უფრო მეტ შავ ანაბეჭდს, ვიდრე თეთრს — ადგეს და იდგეს მანამ, ვიდრე რომელიმე თქვენგანი არ მიხვდება, რა ფერის ანაბეჭდი აქვს თვითონ მას შუბლზე. ხოლო ვინც მიხვდება — რა ფერის ანაბეჭდი აქვს თვითონ მას შუბლზე. — ის იქნება ჩემი მემკვიდრე“.

...როცა თვალები აუხსნეს, ჭაბუკები აღგნენ და ერთმანეთს მაჩერდნენ. ბოლოს, ერთმა მათგანმა წამოიძახა: „ხელმწიფეო, მე შუბლზე შავი ანაბეჭდი მაქვს!“

რა ფერის ანაბეჭდები დაასვა მეფემ ჭაბუკებს? როგორ მიხვდა ერთ-ერთი მათგანი, რომ სწორედ მას ჰქონდა შუბლზე შავი ანაბეჭდი?



# გვესმის



ИИДЕНС 76157